ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

13 თებერვლიდან!
„ახალ თაობასთან“ ერთად
ქართული დეტექტივი
საბედისწერო გასროლა
ტომი 4
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი



gfhfcrtdb7 !$ st,thdfkb7 @)!$ 137 (6348) afcb5 #) stshb

# ელიზბარ ჯაველიძე: ეკლესიის თემაზე ქართულ ოცნებაში“ განხეთქილებაა“ გვ.5

რატომ მოხსნეს განათლების მინისტრის მოადგილეობიდან დავით ზურაბიშვილი

## შალვა ხაჭაპურიძე: ნაციონალების ბოგინი უნდა დასრულდეს!“ გვ.3





## გიორგი ვაშაძე: ხელისუფლება ჩვენ წინააღმდეგ რეპრესიებს ახორციელებს“ გვ.5

# ვინ დგას ციხეში მომხდარი არეულობების უკან გვ.2



გვ.2

### დავით ნარმანია: თვითმმართველობის არჩევნები ყველაზე დემოკრატიული იქნება“

### ნინო ბურჯანაძის პარტია 65 ათასი ლარით დააჯარიმეს



### ალექსანდრე ჭიკაიძე: პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების უკანონოდ ჩაწერაზე პასუხისმგებლობა მკაცრდება“ გვ.2



### რომან გოცირიძეც სამოქალაქო სექტორში წავიდა

რას აპირებს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი





### კულტურის სამინისტრო გაწეულ ხარჯებზე ინფორმაციას უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებს გვ.4

11 თებერვლიდან!
„ახალ თაობასთან“ ერთად
ქართული დეტექტივი
საზღაური
ტომი 3
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი



ISSN 1987-9385
9 771987 938006

3 განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკის რეალიზებისა და შენახვა-შენახვის ბრალდებით ორი პირი დააკავეს

4 შალვა ფიფია: „მინის დამუშავება თებერვლის მეორე ნახევრიდან დაიწყება“

3 ვაკო ავალიანი თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა

6 ხაიშელების ყრილობას იურიდიული ძალა არ აქვს

კევ]ბ ოზსტკბ .ღზსტკბ იფღბ

# დავით ნარმანია: „თვითმმართველობის არჩევნები ყველაზე დემოკრატიული იქნება“

ნათია ხურცილავა

თვითმმართველობის არჩევნებამდე არც ისე დიდი დრო დარჩა. თუმცა, მანამდე თბილისის ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დედაქალაქს ბიუჯეტი არ ჰქონდეს და ეს პირდაპირ აისახოს თითოეულ მოქალაქეზე. მერიისა და საკრებულოს წევრების გაწევ-გამოწევა ძვირად უჯდებათ უბიუჯეტოდ დარჩენილ თბილისელებს. მთაწმინდაზე ტელეანძის „ციმციმას“ გამორთვით დაწყებულმა ბრძოლამ შეიძლება უფრო ფართო მასშტაბები მიიღოს და მთელი ქვეყნის ფარგლები მოიცვას.

ქუთაისის ადგილობრივ მუნიციპალიტეტში განვითარებული მოვლენები შეიძლება რეალობის აღქმას არც კი დაექვემდებაროს. ინდუსტრიის მწარმოებელმა ქალაქმა უკვე მერამდენე მერი „აწარმოა“. ვინ მოთვლის, ქუთაისმა უკვე მერამდენე მერი გამოიცვალა. ქალაქის ბოლო მერი საკრებულოს თავმჯდომარემ ორი დღის წინა გადააყენა.

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელ შოთა მურღულიას უფლებამოსილება შეუჩერდა და მისი მოვალეობის შესრულება, ვიცემერ ნიკო კაჭკაჭიშვილს დაეკისრა.

შოთა მურღულია ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრ დავით ნარმანიას მოადგილე იყო.

გუშინ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ დავით ნარმანიამ განცხადება ჟურნალისტებთან გააკეთა.

როგორც რეგიონული განვითარების მინისტრმა, „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატმა ჟურნალისტებს განუცხადა, თვითმმართველობის არჩევნები ყველაზე მოწესრიგებული და დემოკრატიული იქნება.

დავით ნარმანია ჯერ მინისტრის პოსტს იკავებს, თუმცა, როგორც კი წინასაარჩევნო კამპანიას შეუდგება, არ არის გამორიცხული, რომ ის თანამდებობიდან გადადგეს.




ნარმანიამ ჟურნალისტებთან საუბარში ისიც განაცხადა, რომ საარჩევნო პროგრამა იქნება ამომრჩევლის და არა ცალკეული პირების კეთილდღეობაზე ორიენტირებული. ნარმანიას თქმით, საარჩევნო პროგრამა 41-პუნქტიანია და მისაღები იქნება თითოეული მოქალაქისთვის, თუმცა დეტალები არ დაუკონკრეტებია.

ჟურნალისტის კითხვაზე – დაძლევს თუ არა საარჩევნო ბარიერს? მინისტრი დადებითად პასუხობს. მას იმედი აქვს, რომ საარჩევნო ბარიერის დაძლევს.

– ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საარჩევნო ბარიერი რაც არ უნდა მაღალი იყოს, ჩვენი მხრიდან დაძლეული იქნება, – აცხადებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.

საარჩევნო ბარიერი არასაპარლამენტო ოპოზიციასა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა.

– ჩემი, როგორც კანდიდატის მხრიდან საარჩევნო ბარიერზე საუბარი უხერხული იქნება, თუმცა ჩვენს შესაძლებლობებსა და იმაში, რომ ბარიერი რაც არ უნდა მაღალი იყოს, ჩვენი მხრიდან დაძლეული იქნება, ეჭვი არ გვეპარება. რაც შეეხება სიურპრიზებს, ეს ძალიან მოწესრიგებული და დემოკრატიული არჩევნები იქნება. გვექნება ძალიან კარგი საარჩევნო პროგრამა, რომლითაც ამომრჩევლის წინაშე წარვდგებით. რეალურად, ის ამომრჩევლის და არა ცალკეული ჯგუფების კეთილდღეობაზე იქნება ორიენტირებული, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

მისი ინფორმაციით, ლაპარაკია 41-პუნქტიან საარჩევნო პროგრამაზე. დეტალები მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც პროგრამაზე მუშაობა საბოლოოდ დასრულდება.

ნარმანიამ პრემიერის მიერ დაპირებულ სიურპრიზთან დაკავშირებით დასმულ კითხვასაც უპასუხა.

– ჩვენს შესაძლებლობებში ეჭვი არ გვეპარება, ასევე ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ რაც არ უნდა მაღალი იყოს ბარიერი, ის იქნება დაძლეული. რაც შეეხება პრემიერის მიერ ნახსენებ სიურპრიზს, ეს იქნება დემოკრატიული და მოწესრიგებული არჩევნები, ძალიან კარგი საარჩევნო პროგრამა, რომელიც ორიენტირებული იქნება ამომრჩევლის კეთილდღეობაზე და არა ცალკეულ ჯგუფებზე, – განაცხადა ნარმანიამ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის შოთა მურღულიასთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხსაც გამოეხმაურა.

– ეს არის ძალიან ვიწრო ჯგუფის პრობლემა, რომელიც ქუთაისშია და ქალაქის მართვის პრეტენზია აქვს. საკრებულოს თავმჯდომარის გუშინდელი გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლობასთან. ეს არის აბსოლუტურად უკანონო და ზნეობისა და მორალის არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. ძალიან ცუდი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომელიც ქალაქის მოსახლეობისთვის ძალიან ცუდია, – განაცხადა ნარმანიამ.

# ალექსანდრე ჭიკაიძე: „პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების უკანონოდ ჩაწერაზე პასუხისმგებლობა მკაცრდება“

ნათია ხურცილავა

სხვისი პირადი ცხოვრების, ინტიმური ურთიერთობების ამსახველი მასალის ჩაწერა და შემდეგ ამით ადამიანის დაშანტაჟება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მხოლოდ სამი წლით მიცემას ითვალისწინებდა.




შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ გუშინ მთავრობის სხდომის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების უკანონოდ ჩაწერაზე პასუხისმგებლობა მკაცრდება. როგორც მინისტრმა გვითხრა, სხვისი პირადი ცხოვრების ამსახველი უკანონო ფარული ჩანაწერების მომზადება-გამოყენებაზე სასჯელი 3-დან 7 წლამდე იზრდება.

აღნიშნულ უკანონო ქმედებასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამძიმებას მიესალმებიან მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრებიც.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, აღნიშნული ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში შევა.

– უკანასკნელი წლების განმავლობაში ადამიანის პირადი და ინტიმური ცხოვრების უკანონოდ მიყურადება და ჩაწერა ხდებოდა. შესაბამისი კანონის დარღვევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას მხოლოდ სამი წლით ითვალისწინებდა, ახალი ცვლილებებით კი ეს ვადა 3-დან 7 წლამდე გაიზრდება. ეს ნებისმიერ ადამიანს შეეხება. თუ ადამიანს ვინმეს პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა ხელში ჩაუვარდება და მას საგამოძიებო ორგანოებში წარადგენს, მისი პასუხისმგებლობის საკითხი აღარ დადგება, – განაცხადა ალექსანდრე ჭიკაიძემ.

მინისტრის ინფორმაციით, ახალი ცვლილებები განსახილველად პარლამენტს წარედგინება. სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებებზე დაწვრილებით ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მოგვიანებით გაავრცელებს.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, მთავრობის სხდომაზე განხილული იყო აღნიშნულ საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შესახებ კანონპროექტი.

# ვინ დგას ციხეში მომხდარი არეულობების უკან

ნათია ხურცილავა

**რა ხდება სასჯელაღსრულების სისტემაში და ვინ დგას ამ ყველაფრის უკან? არის თუ არა ციხეებში მიმდინარე მოვლენები პროვოცირებული და გარედან მართული? როგორც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, გამოძიება მიმდინარეობს და ყველა კითხვას პასუხი გაეცემა.**

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი არ გამორიცხავს, რომ გეგუთის ციხეში განვითარებული პროცესი გარკვეული ძალების მიერ დაძაბულობის კერის შექმნის მცდელობა იყოს. არსებობენ ექსპერტები, რომლებიც არ გამორიცხავენ, რომ ციხეებში განვითარებული მოვლენები სწორედ გარედან იყოს მართული.

როგორც სასჯელაღსრულების მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, გეგუთის ციხეში არეულობას ხელს ციხის ძველი თანამშრომლებიც უწყობდნენ.

მინისტრი აცხადებს, რომ აღნიშნულ მოვლენებზე გამოძიება უკვე დაწყებულია.

– როგორც არაფრის გამო დაიწყო, ისევე დამთავრდა. გაცილებით მეტ აჟიოტაჟს ქმნიდა პრესა, ვიდრე იქ სინამდვილეში რამე ხდებოდა. რამდენიმე ათეული ადამიანი არა მშობლების, არამედ შიგნით მყოფი „ძველი ბიჭის“ ძმაკაცები მოდიოდნენ და გარეთ აურზაურს ქმნიდნენ, მაგრამ გამოძიება დაწყებულია და ყველა იმ ადამიანს, რომელმაც კანონი დაარღვია, მაგალითად, იქ ავტომანქანებს, სასწრაფოებს არ აძლევდა გამოსვლის საშუალებას ან, ასე ვთქვათ, ცდილობდა, გამოძიების კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს. არავის ეპატიება ის, რასაც ჩადიოდნენ. როდესაც ავადმყოფი ადამიანი გარეთ გადის და შენ გზას კეტავ, ეს დანაშაულია და ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ასეთი ადამიანების მიმართ კანონი ძალიან მკაცრი იქნება და მეორე, გამოძიება იმუშავებს იმ თანამშრომლებზე, რომლებიც სრულიად შეგნებულად აწყობდნენ პროვოკაციებს და აქეზებდნენ პატიმრებს, მათ ოჯახებს. ძველი თანამშრომლებიდან ძალიან ბევრს არ აწყობს წესრიგის დამყარება ციხეში. ისინი შეჩვეული იყვნენ წამებას, ფულის გაკეთებას. დღეს მათ უნდათ, რომ ეს გაგრძელდეს, მაგრამ არ გაგრძელდება, – განაცხადა სუბარმა.

გუშინ სასჯელაღსრულების მინისტრმა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზეც გააკეთა კომენტარი.

სოზარ სუბარმა საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შესაძლო შეხვედრის კომენტირებისას განაცხადა, რომ ამისთვის მზადყოფნას ძველი ხელისუფლებაც ყოველთვის გამოხატავდა.

– შეგიძლიათ ამოიღოთ თუნდაც სააკაშვილის უამრავი განცხადება, რომელიც ამბობდა, რომ ყოველგვარი წინაპირობების გარეშე მზად იყო შეხვედრისთვის, თუმცა ამას მოაყოლებდა ისეთ რიტორიკას, ცხადია, მას არავინ შეხვდებოდა. მას არ ჰქონდა გონებრივი შესაძლებლობა, რომ საკუთარი თავი დაეჭირა. როდესაც ჩვენ ეს ყველაფერი მშვიდ და კონსტრუქციულ რეჟიმში გადავიყვანეთ, შეიძლება ვიფიქროთ იმაზე, რომ ამგვარი შეხვედრა შედგეს და დადებითი შედეგიც მივიღოთ. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე საუბარი დღეს ძალიან რთულია, ეს სამომავლო ამოცანაა, მაგრამ, თუნდაც ის, რომ ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას, ქართული პროდუქციისთვის ბაზრის ბოლომდე გახსნას და საქართველოსთვის მომგებიან სხვა დათმობებს მივაღწიოთ, ძალიან მნიშვნელოვანია. თუკი საქართველოსათვის თუნდაც უმცირესი შედეგის მიღწევა იქნება შესაძლებელი, ნებისმიერი შეხვედრა უნდა შედგეს. სხვათა შორის, ძველი ხელისუფლება ასეთი შეხვედრის მზადყოფნას ყოველთვის გამოთქვამდა. შეგიძლიათ მიხეილ სააკაშვილის განცხადებები ამოიღოთ, სადაც ის ამბობდა, შეხვედრისთვის მზად ყოველგვარი წინაპირობის გარეშე ვარო, მაგრამ ამას ისეთ რიტორიკას მოაყოლებდა – არ ჰქონდა იმის გონებრივი შესაძლებლობები, რომ თავი დაეჭირა და ცხადია, ამის შემდეგ არავინ შეხვდებოდა. ახლა, როცა ეს ყველაფერი ძალიან კონსტრუქციულ რეჟიმში მოექცა, შესაძლებელია ვიფიქროთ იმაზე, რომ ამგვარი შეხვედრა შედგეს და დადებითი შედეგიც მივიღოთ, – განაცხადა სოზარ სუბარმა.



ახალი თაობა

ლფვაეყტ,კტ,ბ5 ყბყჯ ,ფრეჰფტ7 პეჰფ, ,ტჰბტ7 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ვსფდფჰბ ჰტლფმნჯჰბ 2 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ჰტლფმნჯჰბ 2 კფკბ ფცკფყბიდბკბ
ჰტლფმნჯჰბც ვჯფლუბკტ 2 იჯჰტყფ ვფჰცფუბიდბკბ

რჯყცკნფყნტ,ბ
ჯსფჰ ყბყბფიდბკბ7 ლფდბს .ზბფყბ
ცფბყფყცჯ ცფვცფეჰბ 2 რკფჰფ ,ფკფდფტ

ცფჰტრკფვჯ ცფვცფეჰბ 2 -(-)-
უფდჰნკტ,ბც ცფვცფეჰბ 2 ვტჰფ, კტდტჰფიდბკბ
ლბჰტმნჯჰბ 2 პეჰფ, ,ტჰბტ

ლფრფ,ფლჯტ,ფ 2 ბყუფ ლდფჯბიდბკბ7 ყჯყფ რფყლტკფრბ7 ვპბფ მჯმფიდბკბ

უფპბსბ
უფჯჯლც
!((№ ოკბც
№ ბდკბცბლფყ

ვბცფვფჰსბ5 მ8 ს,ბკბცბ7 X□,□□□I□□□ჩ □8 1)7 ვტ-№ ცფჰსკბ8
ნტკტაჯყბ□აფმცბ 2(-)-(!
დტ,-უდტჰლბ www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

ჰტლფმნფიბ იტჯჯცკბ ვფცფკტ,ბ ფჰ ჰტწტყპბჰლტ,ფ ლფ
ფდნჯჰტ,ც ფჰ გ,ჰფყლტ,ფ8 ჰტლფმნბც სფყჯჯ,ბც უფჰტრტ
უფპბსბი ლფ,ტწლბკბ ვფცფკტ,ბც7 ცჰფსტ,ბც ლფ ცფჰტრკფვჯ
უფყწფლტ,ტ,ბც ცჰკბ ფყ ყფობ,კჯ,ჰბდბ უფჯჯ,ტყტ,ფ
ფრჰფკკბფ8 ცნფნფიბ უფჯჯმდტ,ყტ,ეკბ ვფცფკტ,ბც ცბპეცნტპტ
გფცცც ფუტ,ც ფდნჯჰბ8 ცფფდნჯჰჯ ეკტ,ტ,ბ ლფწეკბფ8

# შალვა ხაჭაპურიძე: ნაციონალების ბოგინი უნდა დასრულდეს!“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან

***— ბატონო შალვა, ბოლო დღეებია, საკმაოდ აქტუალურია ციხეებში განვითარებული პროცესები. როგორც ადვოკატი, თქვენ როგორ აფასებთ ამ ყველაფერს?***

— აქ ჩვენ ძალიან საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე. პირველ რიგში, გეტყვით იმას, რომ ღვთის წყალობით ციხეებში აღარ არის ის მდგომარეობა, რაც იყო ადრე, ნაციონალური მოძრაობის დროს. უფრო მეტიც, დღეს არის სიტუაცია, როდესაც თანამშრომელი ფრთხილად არის, არიქა, პატიმარს არ ვაწყენინო, არ მცემოსო. აქეთ თანამშრომელია შეშინებული, რომელი პატიმრის ცემაზეა საუბარი. აი, რა ხდება გეგუთის ციხეში. არიქა ატეხეს ერთი ამბავი, პირდაპირ გეტყვით, ამ ყველაფრის უკან ნაციონალური მოძრაობა დგას. აბსურდია, წარმოუდგენელია, რომ გეგუთის კოლონიაში პატიმრებს სცემონ. დღეს სრულიად სხვა რეალობაა. ამის დამადასტურებელ მტკიცებულებებს ვერავინ მოიტანს. ის, რომ ვიღაცას ორი ნეკნი აქვს დაბეგვილი, უფრო თვითდაზიანებებია. ნებისმიერ ადვოკატს, რომელიც დღეს მუშაობს სისხლის სამართალზე და ციხეში შედის, ანეკდოტად არ გვყოფნის, ისეთი სიტუაციაა. უბრალოდ, სასაცილოა. „რუსთავი ორი“ რომ ამით იწყებს გადაცემას, ეს არის დადგმული სპექტაკლი, მით უმეტეს, ჩვენ გვყავს იქ პატიმრები, რომლებსაც კარგად ვიცნობთ, რომლებიც ძალიან სერიოზული პიროვნებები არიან, დიდი ხანია, სხედან, გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობენ, ასე ვთქვათ, თავიანთ კოლეგებში, ისინი ამ პროცესებში ჩარეულები არ არიან. მოკლედ, დაინტერესებულმა ადვოკატებმა კარგად ვიცით, იქ რაც ხდება.

***— რა ხდება?***

— ეს არის ნაციონალური მოძრაობის მიერ აგორებული თემა, გამოიყენეს პატიმრების ახლობლები, ოჯახის წევრები, რომელსაც წამოეგო შემდეგ ზოგიერთი პატიმარი, გაუთვითცნობიერებლად. ფაქტობრივად, მოთხოვნები ჩამოუყალიბებელია. ეს საკმაოდ კარგად აპრობირებული მეთოდია, საакაშვილს ზუსტად ასე უკეთებდა მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრყ კახა თარგამაძე. ეს მშვენივრად იციან სააკაშვილმაც და მისმა თანამოაზრეებმაც. ეს რამდენად ცუდად მოქმედებს ხელისუფლების იმიჯზე და იმავეს უმეორებს ახლა თავისი ჭკუით სოზარ სუბარს, მაგრამ ამის საფუძველი არ არსებობს, ეს ყველაფერი სასაცილოა. ეს რომ ნაციონალებისგან მომდინარეობს, ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის, რომ ოჯახები, რომლებიც იქ დგანან და აკეთებენ განცხადებებს, შემდეგ აღმოჩნდებიან იმ სააგენტოებში, რომლებიც სწორედ ნაციონალებისგან შექმნილი სააგენტოებია და იქიდან აკეთებენ კომენტარებს. დღეს იმდენი სააგენტოა თბილისში, რაღა მაინცდამაინც ნაციონალების სააგენტოებში მიდიან? მე ერთ რამეს ვფიქრობ, ალბათ, დროა, უკვე წერტილი დაესვას ნაციონალების ამ პარპაშს და სამართალდამცავმა ორგანოებმა ამაზე რეაგირება უნდა მოახდინონ. არ ისვენებს ნაციონალური მოძრაობა და არანაირად არ უნდა დარჩეს პოლიტიკურ არენაზე. თითქმის მთლიანად კრიმინალიზებულია მისი ყოველდღიური ქმედება. ეს არ არის პოლიტიკური ძალა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი საზოგადოება უკმაყოფილოა, მაგრამ „ქართული ოცნება“, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილი, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ არ მოხდეს ამ ძალის პოლიტიკური არენიდან განდევნა და ამითი არ შეილახოს საერთაშორისო არენაზე მათი სახელი, მაინც არ ისვენებენ. სამართალდამცავმა ორგანოებმა მშვენივრად იციან, რომ ეს ყველაფერი ნაციონალური მოძრაობის მხრიდან არის მართული. როდემდე უნდა უყურო ახლა ამ ყველაფერს ადამიანმა?! დაიღალა უკვე საზოგადოება, აღარ გვაინტერესებს ნაციონალების ხრიკები. ის, რაც ციხეში ხდება, მოხდეს ციხეში! შეიძლება, „რუსთავი ორმა“ მარტო ამაზე ილაპარაკოს?!



***— თქვენ თვლით, რომ ეს არის პროვოკაცია?***

— რასაკვირველია, ეს არის საბოტაჟის ერთ-ერთი ელემენტი, რომ რამენაირად შეასუსტონ ხელისუფლება, მერე დაიწყონ იმათ ძახილი, უნიათო ხელისუფლება ხართო. სანამ ამ დეპუტატს, რომელიც ამას გაჰყვირის, თავს ციხეში არ ამოაყოფინებენ, მანამ არ გაჩერდება. ადგენენ და აჩვენონ, რომ არ არიან უნიათოები. ამათ პოლიტიკური თამაშის წესები არ უნდათ, ესენი არიან ხალხი, რომლებიც ყველაფერზე აწერენ ხელს იმისათვის, რომ რამენაირად დაბრუნდნენ სკამებზე. საქართველოს ბედი და სიყვარული კი არ აღელვებთ, არა, ბატონო, საკუთარი ჯიბე აღელვებთ, გავლენის სფეროები. მათთვის ფულია ყველაფერი, მათი მამოძრავებელი ძალა. ჩვენი წინაპრების მამოძრავებელი ძალა თუ სამშობლო და სარწმუნოება იყო, დღეს ამათი მამოძრავებელი ძალა არის ფული, დანარჩენი არაფერი არ აინტერესებთ, იმიტომ არიან სკამის პოლიტიკოსები. შესაბამისად, ის პროცესები, რაც ჩვენ გვტკივა და გვაღელვებს, ამათთვის ეს აბსოლუტურად სხვა სამყაროა. ძალიან უცხოა, ამიტომ ვერ გაუგო ხალხმა იმ მთავრობას. ძალიან მტკივნეულია, როცა ხედავ, რომ ყველაფერი ფულზე იყიდება და მათი მთავარი მამოძრავებელი ეს არის. პლუს ეს ავანტიურიზმი, ეს ათასგვარი გათახსირებულობა, რასაც ნაციონალური მოძრაობა ყოველდღე იგონებს და მათი პროპაგანდისტული მანქანა აქტიურად არის ჩართული.

***— თქვენც აცხადებთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ წერტილი უნდა დაესვას მათ ბოგინს. რატომ ვერ ხერხდება, ხალხიც ხომ ამას ითხოვს?***

— აქ ორი მომენტია, შეიძლება, ეს საზოგადოებისთვის ძნელი გასაგები იყოს, მაგრამ, თუ მყისიერ რეაგირებას მოვახდენთ ამ ყველაფერზე, რა პროვოკაციასაც ეს ზნედაცემული დაჯგუფება აწყობს, რა თქმა უნდა, იმ გავლენებიდან და იმ დიდი ფულიდან, რომელიც დახარჯული აქვთ მათსავით ზნედაცემულ მსოფლიო ლობისტურ კომპანიებში, რასაკვირველია, ისინი ატეხენ ყვირილს და ააგორებენ კამპანიას, რომ ნაციონალურ მოძრაობას ავიწროებენ. ბოლოს და ბოლოს გამწარებული ხალხი იტყვის, ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ და ვინც რა უნდა ის თქვასო, მაგრამ ჩვენ წინ გვაქვს სერიოზული გზა გასავლელი. ეს არის ევროინტეგრაცია, პარტნიორობა ნატოს ბლოკთან და ასე შემდეგ. ამ ყველაფერმა შეიძლება ასახვა ჰპოვოს. ნაციონალებს ეს ნაკლებად აღელვებთ, ოღონდ თავი გადაირჩინონ და ფიქრობენ, კისერიც მოუტეხია საქართველოსო, მაგრამ ჩვენც ხომ მათნაირად არ ვფიქრობთ. ამიტომ, რისი თმენის საშუალებაც არსებობს, ბოლომდე ითმენს ხელისუფლება. თუმცა, როცა უკვე გამოუვალი მდგომარეობაა, რას იზამს. ისე, ნებისმიერს მოჰკიდეთ ნაციონალებიდან ხელი, თუ გინდათ, დეპუტატს, რომელიც იჯდა და ხმას არ იღებდა ცხრა წლის განმავლობაში, ნებისმიერს შეგიძლია ბრალი წაუყენო ორ უმძიმეს დანაშაულში — დანაშაულში კაცობრიობის წინააღმდეგ და სამხედრო დანაშაულში. ნებისმიერ პიროვნებას, ნაციონალურ მოძრაობაში რომ შევიდა და წევრი გახდა, შეგიძლია, ეს ბრალდება წაუყენო. აღარ ვლაპარაკობ სხვა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულებზე. მაგრამ ჩვენ ხომ არ უნდა გადავაყოლოთ ამ ავანტიურისტებსა და ტვინნაღრძობ ხალხს ქვეყანა!

***— თუმცა დიდი დრო გავიდა უკვე, ბატონო შალვა, ხალხიც დაიღალა ლოდინით...***

— მიმდინარეობს პროცესები, უამრავი ადამიანია პასუხისგებაში მიცემული. რადგან ხელისუფლება არ აკეთებს ამას, მე უნდა გამოვითხოვო სია პროკურატურიდან და გავაჟღერო, რამდენი მაღალჩინოსანია პასუხისგებაში მიცემული. ეს არის ძალიან დიდი სია, როგორც მე ვიცი, სამასზე მეტ ადამიანზეა საუბარი. ამას ბოლომდე რომ გავყოლოდით, შეიძლება, მივსულიყავით იმ სიტუაციამდე, როდესაც, ფაქტობრივად, მოსახლეობის 50% ციხეში აღმოჩნდებოდა. საზოგადოება შერწყმული იყო ამ ავთვისებიან სიმსივნესთან. შერწყმული იყო, ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული ყველაფერი. ამიტომ ასეთი ქირურგიული ჩარევები საკმაოდ ნეგატიურ შედეგებს გამოიღებდა. თუმცა, არის თემები, რომლებზეც აუცილებლად უნდა გაგრძელდეს მუშაობა. ეს არის ძირითადი ორგანიზატორები იმ დანაშაულებრივი დაჯგუფებისა, რომლებიც ხელისუფლებაში დანაშაულებრივი გზით მოვიდნენ. ესენი არიან სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, ძმები ახალაიები, კეზერაშვილი. იგივე ის სქემები, რომელიც კეზერაშვილმაააწყო, დღესაც მოქმედებს, დღესაც შეედინება მათთან შავი ფული. ფოთის პორტიდან თუ საწვავის ბიზნესიდან დღემდე იღებენ წილებს. ის დანაშაულებრივი სქემა, რომელიც კეზერაშვილმა ააწყო, დღესაც მშვენივრად მუშაობს და ნაციონალები დიდ თანხებს იღებენ. ახალმა მთავარმა პროკურორმა გაააქტიურა ამ კუთხით მუშაობა და, ვნახოთ, რა შედეგი დაიდება. ამ ბნელ ძალას თუ ეს დაფინანსების წყარო არ გადაუკეტე, თუ ისევ გააჩნიათ სატელევიზიო საშუალებები და ყოველდღიურად ბუზს სპილოდ აჩვენებენ მოსახლეობას, ასე მათ ვერ დაამარცხებ. ამ ფონზე, რასაკვირველია, საზოგადოებაში უკმაყოფილება მატულობს. საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც „რუსთავი ორს“ უყურებს, რჩება შთაბეჭდილება, რომ სადღაც ჯანდაბაში ცხოვრობს.

***— პიარი არ უყვარგა ახალ ხელისუფლებასო, ამაზე უკვე დაუფარავად საუბრობს ყველა...***

— სწორედაც. მე არ ვიცი, რას აკეთებენ ეს პიარსამსახურები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. მე ჯერ მაგათი გაკეთებული არაფერი მინახავს. გვარამიას გაკეთებული კი მინახავს, „რუსთავი ორის“ გენერალური დირექტორის. ვხედავთ, თუ რას აკეთებენ ყოველდღიურად. ჩვენ არ გვინდა პიარიო, რომ გაიძახიან, დავით აღმაშენებელმა რა თქვა, იცით? მე მაკედონელზე დიდი ვიყავი, მაგრამ ალექსანდრე მაკედონელს უფრო დიდი ხალხი ჰყავდა ჟამთააღმწერელი, რომლებიც მის ქმედებას აღწერდნენ და საზოგადოებას აწვდიდნენ და მე არ მყავდა ეგეთიო. ასე არ შეიძლება. ბევრი რამ კეთდება, ძალიან ბევრი რამ ქვეყანაში, ელემენტარულად, თავისუფლად ვსუნთქავთ, არ გვეშინია.

## განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკის რეალიზებისა და შეძენა-შენახვის ბრალდებით ორი პირი დააკავეს

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს დეტექტივების განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული, ირანის მოქალაქე ომიდვარ კ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციისთვის, ხოლო 1993 წელს დაბადებული, საქართველოს მოქალაქე გვანცა გ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა გვანცა გ. იმ დროს დააკავეს, როცა მან ომიდვარ კ-სგან ნარკოტიკული საშუალება 500 აშშ დოლარის სანაცვლოდ შეიძინა. ექსპერტიზის დასკვნით, გვანცა გ-ს ჩხრეკისას ამოღებულია 4,1594 გრ ნარკოტიკი, რომელიც 3,3401 გრ მეტამფეტამინს შეიცავს. ომიდვარ კ-ს დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას კი, სამართალდამცველებმა 39,2585 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 36,6696 გრ მეტამფეტამინს შეიცავს. ორივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს — საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

მედიანიუსი

## უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1987 წელს დაბადებული თეიმურაზ დ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფელში, თეიმურაზ დ-ს საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე დამხმარე ნაგებობის ჩხრეკისას „ა-კა-ემ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 1 მჭიდი და 22 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს — საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

მედიანიუსი

## ჯგუფური ყაჩაღობის მომზადების ბრალდებით სამი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი რამაზ დ, 1984 წელს დაბადებული ლაშა ნ. და 1969 წელს დაბადებული ლუკა ჭ. ჯგუფური ყაჩაღობის მომზადების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში მდებარე სამშენებლო კომპანიის დაყაჩაღების გეგმა შეიმუშავეს. ერთ-ერთმა დაკავებულმა, ლუკა ჭ-მ, რომელიც ჩინური სამშენებლო კომპანიის მძღოლად მუშაობდა, თანამზრახველებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კომპანიის სეიფში დაახლოებით 100 000 ლარის ოდენობის თანხა ინახებოდა და დეტალურად აუხსნა, როგორ შეიძლებოდა კომპანიის ოფისში შეღწევა. შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების რამაზ დ. და ლაშა ნ. იმ დროს დააკავეს, როცა ისინი გეგმის განსახორციელებლად ავტომობილით გადაადგილდებოდნენ. მათი თანამზრახველი ლუკა ჭ. კი მეტროსადგურ „ვარკეთილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე იქნა დაკავებული.

სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი და ავტომობილის ჩხრეკის შედეგად „გლოკის“ სისტემის და „ბერეტას“ სისტემის პისტოლეტების მაკეტები, 4 ნიღაბი, 8 ცალი სამედიცინო ხელთათმანი, 2 ხანჯალი და წებოვანი ლენტი ამოიღეს.

დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. გამოძიება ჯგუფური ყაჩაღობის, სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევის მომზადების ფაქტზე მიმდინარეობს -საქართველოს სსკ-ს 18-179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.

ნიუსპრესი

## თბილისში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს

თბილისში, ჩუღურეთის რაიონში 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს. ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობა შელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, მას ჭრილობები ცეცხლსასროლი იარაღით აქვს მიყენებული. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება უკვე დაიწყო. გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი



## ვაკო ავალიანი თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა

პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ბრძანებით, ვარლამ (ვაკო) ავალიანი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას მოადგილედ დაინიშნა. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დაინიშნოს ვარლამ ავალიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილედ“- ნათქვამია პრემიერის ბრძანებაში. ავალიანი დღემდე ირაკლი ალასანიას მრჩევლი იყო.

თავდაცვის მინისტრს უკვე 5 მოადგილე ჰყავს. დანარჩენი ოთხი მოადგილე - ირაკლი გეგეჭკორი, მიხეილ დარჩიაშვილი, თამარ ქაროსანიძე და ალექსი ბატიაშვილი არიან.

ნიუსპრესი

## შს მინისტრი დიდი ბრიტანეთის დელეგაციის წარმომადგენლებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, გუშინ დიდი ბრიტანეთის დელეგაციის წარმომადგენლებს, უსაფრთხოებისა და იუსტიციის ჯგუფის მრჩევლებს - დეივიდ კლარკს, ჯეიმს გლადვინს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მრჩეველ სტივენ გლოვერს შეხვდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმები განიხილეს. საუბარი ურთიერთთანამშრომლობის საკითხებსა და სამომავლო გეგმებსაც შეეხო.

ნიუსპრესი

# რომან გოცირიძეც სამოქალაქო სექტორში წავიდა

## რას აპირებს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი

შორენა კოწოწაშვილი

ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრი“ დააფუძნა და ამ გზით ის რამდენიმეწლიანი დუმილი დაარღვია, რომელიც რიგი ფაქტორებით იყო გამოწვეული.

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი აცხადებს, რომ მან თანამოაზრეებთან ერთად გადაწყვიტა სამოქალაქო სექტორის გაძლიერება და ამ გზით ხელისუფლებისა და მასმედიისთვის მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება იმ ყველაფრის ირგვლივ, რაც დღეს საქართველოს ეკონომიკაში ხდება.



როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელმა რომან გოცირიძემ განმარტა, თანამოაზრეებთან ერთად მის მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციის მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის განვითარებას.

– „საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრი“ ეკონომიკური განვითარების კონცეფციებსა და პროგრამებს შეიმუშავებს როგორც ქვეყნის ეკონომიკის, ასევე მისი ცალკეული დარგებისათვის. ბოლო პერიოდში ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სტაბილური, პროგნოზირებადი, თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური გარემოს ფორმირება, რომელმაც, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს სწრაფი ეკონომიკური ზრდა და ცხოვრების დონის ამაღლება. ამ პროცესში თავისი როლი არასამთავრობო სექტორმაც უნდა ითამაშოს. სწორედ ამ მიზნით მოხდა აღნიშნული ორგანიზაციის დაფუძნება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არასამთავრობო სექტორი ითვლება ძლიერ და წარმატებულ სფეროდ, ეკონომიკური პროფილის მიუკერძოებელი და ნეიტრალური საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაკლებობა მაინც შეიმჩნევა. ამასთან, ახლად დაფუძნებული ორგანიზაციის წევრების გამოცდილება და ამ სფეროში არსებული პრობლემების ზედმიწევნით ცოდნა ჩვენი მთავარი კაპიტალია, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას რომან გოცირიძემ.

რაც შეეხება ორგანიზაციის საქმიანობის პრინციპებს, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ესაა ობიექტურობა და თავისუფლება ყოველგვარი პოლიტიკური გავლენისაგან.

გოცირიძე მიიჩნევს, რომ დღეს მნიშვნელოვანია ობიექტური და კვალიფიციური დასკვნების დადება მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე, რაც მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას არ წაადგება.

– ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყანაში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, შეიმუშაოს ეკონომიკური განვითარების კონცეფციები და პროგრამები როგორც მთელი ეკონომიკის, ასევე ცალკეული დარგებისთვის, შეიმუშაოს მცირე ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები, შექმნას წვრილ მეწარმეთა ინტერესების დაცვის სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმები, გაუწიოს მათ საკონსულტაციო დახმარება ეკონომიკური და იურიდიული საკითხების მოგვარებაში; მხარი დაუჭიროს ისეთ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ქვეყანაში ეკონომიკური ცოდნის გავრცელება; გაუწიოს საკონსულტაციო დახმარება როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია-დაწესებულებებს, მედიას, კერძო მეწარმეებს და უცხოელ ინვესტორებს, – განაცხადა რომან გოცირიძემ, რომელიც გეგმავს, ნაყოფიერად იმუშაოს თანამოაზრეებთან ერთად. მისი თქმით, ორგანიზაციის დამფუძნებლები შეეცდებიან მხარდაჭერის მოპოვებას საზოგადოების ინტერესების დაცვით და ყოველ აქტუალურ საკითხზე დროული რეაგირებით.

რაც შეეხება იმას, თუ მაინცდამაინც ამ ეტაპზე რატომ გადაწყვიტა რომან გოცირიძემ გააქტიურება, როგორც თავად განმარტა, ბევრი რამ შეიცვალა, გაჩნდა ახალი ეკონომიკური მიდგომები, ბევრი პოზიტიური ნაბიჯია, თუმცა არის გარკვეული შეცდომებიც. ამ ყველაფრის ფონზე კი, როგორც ახლად დაფუძნებული ორგანიზაციის ხელმძღვანელი აცხადებს, ხელისუფლებასა და მედიას ობიექტური და კვალიფიციური შეფასებები და რეკომენდაციები სჭირდება.

გოცირიძის თქმით, ორგანიზაცია, პირველ რიგში, შექმნილი მდგომარეობის სწორ ანალიზს გააკეთებს და შეიმუშავებს ეკონომიკური განვითარების პროგრამებს. მისი თქმით, გარკვეული პრობლემები შეინიშნება ბიუჯეტის კუთხით, ასევე პრობლემებია ხარჯვით ნაწილშიც.

– ძალიან მნიშვნელოვანია პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მხარდაჭერა, ვინაიდან იქ არიან პროფესიონალები და მათი საბიუჯეტო და ეკონომიკური ანალიზის გაზიარება წაადგებოდა როგორც პარლამენტს, ასევე ეკონომიკას, ვინაიდან ხშირად არის სწორი პოზიცია საჭირო, განსაკუთრებით ექსტრემალურ სიტუაციებში, ისეთი, , როგორიც თუნდაც ამ ორი თვის განმავლობაში იყო ლართან მიმართებით, – აღნიშნა გოცირიძემ.

გუშინვე რომან გოცირიძემ იმ ტენდენციაზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც ლართან მიმართებით დაფიქსირდა და რომელიც ლარის დევალვაციას მოჰყვა. მისი თქმით, პროცესმა, რომელიც ლარის გამყარებას წინ უსწრებდა, გარკვეული ეჭვები გააჩინა მაკროეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისით. გარკვეული პრობლემები შეინიშნება ასევე ბიუჯეტში როგორც შემოსავლების, ასევე საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კუთხით. გოცირიძის თქმით, ის შემოსავლების ნაწილში ბიუჯეტის ფორმირებას მაინცდამაინც ოპტიმისტურად არ უყურებს.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს სახაზინო ვალდებულებებსა და სუბსიდიებს, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება. გოცირიძის თქმით, ის, რაც ლართან მიმართებით დაფიქსირდა, 100%-ით საბიუჯეტო პრობლემებით იყო გამოწვეული. საჯაროდ კი განსხვავებული მოსაზრებები დაფიქსირდა.

– ერთი კვირაა, ლართან მიმართებით უკუპროცესი მიმდინარეობს. ასეთი სწრაფი რყევები, რბილად რომ ვთქვათ, არასასურველია. ეს ქვეყნისთვის ქმნის არა მხოლოდ საიმიჯო საფრთხეებს, არამედ არასტაბილურობის განცდასაც იწვევს, – აღნიშნა გოცირიძემ, რომელსაც არასწორად მიაჩნია ლარის ინფლაციის მიზეზად იმის დასახელება, რომ ქვეყანაში ინვესტიციების არშემოსვლამ განაპირობა ლარის ინფლაცია.

გოცირიძის თქმით, ქვეყანაში უცხოური ვალუტა შემოდიოდა იმ რაოდენობით და უფრო მეტადაც, ვიდრე თუნდაც წინა წლებში. მართალია, იყო ინვესტიციების კლება, მაგრამ მისი კომპენსირება მოხდა სხვადასხვა სეგმენტიდან ანუ ვალუტის მოწოდების კუთხით ქვეყანაში კარგი მდგომარეობა იყო.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, აშკარად ჩანდა, რომ ბოლო თვეების განმავლობაში ეროვნული ბანკი ლარს მიზანმიმართულად ასუსტებდა, რათა მისულიყო შესაბამის კონდიციამდე. შემდეგ ეროვნული ბანკი, მათი მოსაზრებით, ზედმეტ ფულად მასას ყიდულობდა და 400 მლნ-ით მეტი დოლარი იყიდა, ვიდრე გაყიდა.

ეროვნული ბანკის მოქმედებების შეფასებისას რომან გოცირიძემ კომენტარი გააკეთა იმაზე, თუ რამდენად ადეკვატურად იქცეოდა ეროვნული ბანკი ლარის ინფლაციის პერიოდში. გოცირიძე ფიქრობს, რომ პრობლემა არის ფისკალური. ლართან მიმართებით კი აბსოლუტურად არასწორი ინტერპრეტაციები იყო.

სამოქალაქო სექტორში გადასული ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი აცხადებს, რომ ინფლაციური პროცესის რაიმე ფორმით გამოყენება უაღრესად სარისკოა და ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

## გიგი უგულავა: ჩემთვის პოლიტიკური საქმიანობა არავის აუკრძალავს“

თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა მერის მოვალეობის შემსრულებლის სევდია უგრეხელიძის გადაწყვეტილებას დედაქალაქის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, დადებითად აფასებს და აღნიშნავს, რომ მერია ბიუჯეტის დასამტკიცებლად მოწადინებულია.

„სწორი გადაწყვეტილება მიიღო ქალბატონმა სევდიამ, რომ კიდევ ერთხელ სცადოს და წარუდგინოს საკრებულოს ბიუჯეტის ახალი პროექტი“ – განაცხადა უგულავამ და აღნიშნა, საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის და ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის ჭკუაზე დადის.

„საერთოდ ვერ გავიგე იმ ბრალდების შემადგენლობა, რომ თითქოს ბიუჯეტის ირგვლივ მიმდინარე პროცესებს მე ვმართავ. მას, ვისაც პოლიტიკა საერთოდ არ ესმის, ანუ შიხიაშვილს მინდა ავუხსნა, რომ პოლიტიკური საქმიანობა ჩემთვის არავის აუკრძალავს, პოლიტიკურ კონსულტაციებს ჩემს თანამებრძოლებთან გავდივარ“– განაცხადა უგულავამ.

თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, დედაქალაქის 2014 წლის ბიუჯეტის ახალი პროექტი, მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგად შემუშავდება და საკრებულოში მთავარი ფინანსური დოკუმენტის ახალი ვარიანტი 11 მარტამდე იქნება წარდგენილი. ბიუჯეტის დასამტკიცებლად საკრებულოს ვადა სწორედ 11 მარტს ეწურება. გამგებლები თავიანთი რაიონის მოსახლეობასთან შეხვედრებს დღეიდან იწყებენ. თუ 2014 წლის ბიუჯეტი 11 მარტამდე ვერ დამტკიცდა, ამ შემთხვევაში, დედაქალაქი ფედერალური მმართველობის ფორმაზე გადავა, რაც მერიისა და საკრებულოსთვის უფლებამოსილების შეჩერებას და თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნას გულისხმობს. საკრებულომ მერიის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტი გუშინ მეორედ ჩააგდო და სხდომაზე არ დაამტკიცა.

ნიუსპრესი

## კულტურის სამინისტრო გაწეულ ხარჯებზე ინფორმაციას უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებს



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო საკუთარ ხარჯებზე ინფორმაციას უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებს. – ამის შესახებ მინისტრმა, გურამ ოდიშარიამ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

როგორც მან ფრანკფურტში გამართული ვიზიტის ხარჯებთან დაკავშირებით აღნიშნა, ეს საკითხი სამინისტროს აუდიტის სამსახურს შესასწავლად უკვე გადაეცა.

„ჩემს აუდიტს უკვე დავურეკე, რადგან დღეს ამ თემაზეა საუბარი და ამ აღნიშნული საკითხის შესწავლა დავიწყეთ. შარშან ფრანკფურტში წიგნის ტრადიციული ბაზრობა გაიმართა, რაც მსოფლიო მნიშვნელობისაა. მას მილიონზე მეტი სტუმარი ჰყავს. 2018 წელს საქართველო საპატიო სტუმარი იქნება.

როგორც ჩემმა პროტოკოლის სამსახურმა შემატყობინა, ასეთ დროს სასტუმროები და რესტორნები ძალიან ძვირდება. ამ ყველაფერს გამოვიკვლევთ და უახლოეს მომავალში, შეიძლება დღესვე, ოფიციალურად მოგაწვდით. საზღვარგარეთ არცთუ იშვიათად ვმოგზაურობ და მეკუთვნის, მაგრამ ბიზნესკლასით არასდროს მისარგებლია“, – განაცხადა გურამ ოდიშარიამ.

რაც შეეხება პრემიერთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას, მინისტრი აცხადებს, რომ მან პრემია მხოლოდ ორი თვის განმავლობაში აიღო.

მედიანიუსი

## განათლების სამინისტრო სკოლებში საათობრივი ბადის გადახედვაზე მუშაობს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლებში საათობრივი ბადის გადახედვაზე მუშაობს. – ამის შესახებ მინისტრმა, თამარ სანიკიძემ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს სასწავლო პროცესის მოსალოდნელ გახანგრძლივებასთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად განუცხადა.

„სასწავლო პროცესის გახანგრძლივება მხოლოდ დაწყებით კლასებს არ ეხება. ეს საერთო პრობლემაა, რადგან საქართველოში ყველაზე მოკლე და დატვირთული აკადემიური წელია. შესაბამისად, საათობრივი ბადე გადაიხედება და ამ მიმართულებით ცვლილებები იქნება. ამ საკითხზე ახლა ვმუშაობთ“, – განაცხადა თამარ სანიკიძემ.

რაც შეეხება კლასებში მოსწავლეების რაოდენობის შემცირებას, სანიკიძის თქმით, სამინისტრო აღნიშნულ გეგმასაც განიხილავს და, სავარაუდოდ, ახალი აკადემიური წლის დაწყებისთანავე განახორციელებს.

„იმის მცდელობაა, რომ სწავლის ხარისხის ასამაღლებლად კლასში ბავშვების რაოდენობა შევამციროთ. დღესდღეობით თითო კლასში 30 ბავშვია. გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება მათი რაოდენობა 35-მდე გაიზარდოს. ვფიქრობ, კლასში 25 მოსწავლეზე მეტი არ უნდა იყოს“, – განაცხადა თამარ სანიკიძემ.

მედიანიუსი

## შალვა ფიფია: მიწის დამუშავება თებერვლის მეორე ნახევრიდან დაიწყება“



მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში მიწის დამუშავება თებერვლის მეორე ნახევრიდან დაიწყება. – ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ თბილისში, სასტუმრო „რედისონში“ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, დღეისათვის აღმოსავლეთ საქართველოში ხვნის ბარათების დარიგება დასრულებულია. პროექტის მონაწილე 800 000-მდე ფერმერს ხვნის ბარათები თვის ბოლომდე დაურიგდება.

ბენეფიციარები სასუქებს, პესტიციდებს, სათესლე მასალას „ლიბერთი ბანკის“ პლასტიკური აგრობარათის მეშვეობით მიიღებენ, რომელიც მრავალჯერადი გამოყენების იქნება. მინისტრის ინფორმაციითვე, ბენეფიციარების სიას თბილისისა და ბათუმის ადმინისტრაციული ერთეულებისთვის ბოლო წლებში შემოერთებული სოფლების მაცხოვრებლებიც დაემატა.

შეგახსენებთ, რომ შალვა ფიფია ჟურნალისტებს პროექტის – „საქართველოს მთავრობა – ღია მმართველობის ფარგლებში“ – შეხვდა.

მედიანიუსი

## ლევან ბერძენიშვილი: დედაქალაქის მთავრობისა და საკრებულოს დაშლას დიდი ტრაგედია არ მოჰყვება“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ლევან ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ ის, რაც დედაქალაქის ბიუჯეტთან დაკავშირებით ხდება მოსალოდნელი იყო, რადგან მერია არაკვალიფიციურად მოიქცა ბიუჯეტთან დაკავშირებით და მისმა ქმედებებმა მოიტანა ეს შედეგი.

როგორც ბერძენიშვილმა „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, დედაქალაქის მთავრობის და საკრებულოს დაშლას დიდი ტრაგედია არ მოჰყვება.

მისი თქმით, დედაქალაქს ამ წუთას ხალხის მიერ არჩეული მერი არ ჰყავს.

,,სევდიასთვის, როგორც მერისთვის ხმა არავის არ მიუცია. ამიტომაც საჭირო იყო უფრო მოქნილი ბიუჯეტის პროექტის წარდგენა. შუა ბიუჯეტის განხილვაში შემოაგდეს , რომ მზად იყვნენ ბიუჯეტის 10 პროცენტით შესამცირებლად, რაც თავისთავად აბსურდულია. ამიტომაც ამ პროცესებს დიდი ტრაგედია არ მოჰყვება, ძალიან მალეა არჩევნები და მალე გამოჩნდება ვის უჭერს მხარს თბილისის მოსახლეობა“, – აცხადებს ბერძენიშვილი.

მედიანიუსი

# ელიზბარ ჯაველიძე: ეკლესიის თემაზე „ქართულ ოცნებაში“ აზრთა სხვადასხვაობაა“

## რატომ მოხსნეს განათლების მინისტრის მოადგილეობიდან დავით ზურაბიშვილი

შორენა მარსაგიშვილი

უკვე წლებია, რაც საქართველოში ყველაზე მაღალი ნდობით ეკლესია და პატრიარქი სარგებლობენ. ეს არაერთი გამოკითხვით დადგინდა. ეკლესიის მაღალი რეიტინგი ჩვენში ბევრს უშლის ნერვებს. პატრიარქის ავტორიტეტი კი ზოგიერთ ჩვენს დასავლელ მეგობარს სერიოზულად ანერვიულებს.

ეკლესიის საწინააღმდეგო განცხადებების დიდი ნაწილი სწორედ მათ საამებლად კეთდება. ეს არცაა გასაკვირი, გრანტები ხომ იქიდან მოდის. არასამთავრობოების ნაწილისაგან უკვე მივეჩვიეთ ეკლესიის ლანძღვას. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მალე საპატრიარქოს წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყება. საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია ყოფილი დეპუტატის დავით ზურაბიშვილის ბოლო განცხადებამ.

– რუსეთი ყოველთვის იყენებდა ეკლესიას, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღს. რუსეთის ეკლესიაში უამრავი ღირსეული ადამიანია, ბევრი ღირსეული სასულიერო პირი აპროტესტებდა ამ ყველაფერს. ჩვენ ამ ყველაფერს მთელი მე-19 საუკუნის ისტორია გვეუბნება. ამ ფაქტების გამოყენების მცდელობა იქნება, მაგრამ, იმედი მაქვს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამ გამოწვევას კარგად და ღირსეულად უპასუხებს, – განაცხადა დავით ზურაბიშვილმა.

აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძისთვის მისი განცხადება მოულოდნელი არ ყოფილა. ის ამბობს, რომ ზურაბიშვილი ყოველთვის გამოდიოდა ეკლესიის წინააღმდეგ. ჯაველიძის ინფორმაციით, ის სწორედ ამიტომ გაათავისუფლეს გასულ წელს განათლების მინისტრის მოადგილის პოსტიდან.

რას ემსახურება ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რას არ დაუშვებენ „ქართულ ოცნებაში“ მყოფი სალი ძალები, არის თუ არა საჭირო ეკლესიის გაწმენდა საეჭვო ხალხისგან, რაშია შემჩნეული დავით ზურაბიშვილი, ამ და სხვა თემებზე ელიზბარ ჯაველიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ელიზბარ ჯაველიძე:**

– ან საქართველოს ისტორიის აზრზე არ უნდა იყო, ანდა ძალიან ბეცი უნდა იყო, ასეთი განცხადება რომ გააკეთო. როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ ქართული ეკლესია რუსული პოლიტიკის დასაყრდენი იყო. ჩვენი თვითმყოფადობისა და მეობის შემნახველი ყოველთვის ეკლესია გახლდათ. ილიას არაერთგზის უთქვამს ამის შესახებ. ყველამ უნდა შეუშვას თავში, რომ როცა ქართველი კაცი იცავდა ეროვნებას, იცავდა მართლმადიდებლობას, ხოლო როცა მართლმადიდებლობას იცავდა, იცავდა ეროვნულობასაც. ილიას თქმითვე, მართლმადიდებლობა და ეროვნულობა ქართველი კაცისთვის არის განუყოფელი. ქართველი კაცის ნავსაყუდელი ყოველთვის ეკლესია იყო. აქედან გამომდინარე, ძალიან უმნიშვნელოა, თუ რას იტყვის ეკლესიაზე დავით ზურაბიშვილი. ახლა ბევრი საუბრობს იმაზე რომ რუსეთმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა. ეს მართლაც ასე იყო. ეს გახლდათ მეფის რუსეთის პოლიტიკის შედეგი. ის ცდილობდა, რომ ქართველებისთვის თვითმყოფადობა წაერთმია. ამის შემდეგ უფრო იოლი იქნებოდა ჩვენი შეერთება რუსეთთან. ამ შემთხვევაში ზურაბიშვილის განცხადება არის ძალიან საეჭვო და მისი ფესვები ძალიან ღრმად მიდის. ის პოლიტიკა, რომელსაც ოცნება და კონკრეტულად რესპუბლიკელები ატარებენ, იქ იყრის თავს. დღეს ყველაზე სერიოზული ბრძოლა სწორედ ეკლესიის წინააღმდეგ მიმდინარეობს. ასევე ებრძვიან ოჯახსა და ქართულ ცნობიერებას. დარტყმის ქვეშ აუცილებლად მოექცევა ქართული ენაც და მამულიც. რესპუბლიკელებს არავითარი პრინციპები არ გააჩნიათ. იმის გამო, რომ რამენაირად იყვნენ ხელისუფლებაში, ასრულებენ იმ დაკვეთას, რომელსაც მსოფლიო მასონური წრეები კარნახობენ. ამ მხრივ განსაკუთრებით ამერიკა გამოირჩევა. დღეს ბევრს ლაპარაკობენ რუსულ ეკლესიაზე. უნდა ვიცოდეთ, რომ ეს რუსული ეკლესია ჩვენთვის დღეს არის საყრდენი.



***– რაში არის ჩვენთვის საყრდენი?***

– რუსული ეკლესია ჩვენთვის ზნეობრივი გადარჩენის ერთ-ერთი საყრდენია. ამერიკა მთელი თავისი ინსტიტუტებით ცდილობს, რომ ეს სულიერება როგორმე წაგვგვაროს. სურთ, გამოფიტონ ქართველი კაცი და ის უზნეო ლგბტ ჯგუფად გადააქციონ. ამერიკას სურს, ჩვენი აზროვნება და სულიერი სამყარო შეცვალოს. ეს ბრძოლა უკვე დიდი ხანია, რაც მიმდინარეობს. ამის შესახებ ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია. სამწუხაროა, რომ ამ კურსს „ქართული ოცნებაც“ აგრძელებს. ამ ბრძოლის ავანგარდში, ბუნებრივია, რესპუბლიკელები არიან. მოკალათდნენ სხვადასხვა თბილ ადგილებზე და ბევრს ლაპარაკობენ. დავით ზურაბიშვილს ისეთი რაღაცები აქვს დაწერილი, რომ ეგ ხმის ამოღებასაც კი ვერ უნდა ბედავდეს. მაგან დაწერა, რომ ჩვენ თურმე გენეტიკურად ტირანები ვართ. ის ყოველთვის ღიად ილაშქრებდა ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. მაგის წერილები კარგად მაქვს გაანალიზებული. ის თავისუფლების ინსტიტუტის ღირსეული პირმშოა.

***– თქვენ თქვით, რომ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლის კურსს „ქართული ოცნებაც“ აგრძელებს. ოცნებაში არის ხალხი, რომლებიც ღიად უჭერენ მხარს ეკლესიას. ისინიც ჩაებმებიან ამ ბრძოლაში?***

– მადლობა ღმერთს, რომ ოცნებაში სალი ძალებიც მრავლად არიან. ისინი არც ეკლესიისა და არც ქვეყნის წინააღმდეგ არასდროს წავლენ. სამწუხარო ის არის, რომ ოცნებაში ახლა „სტოსი“ რესპუბლიკელებს მიჰყავთ. არადა, რამდენი ღირსეული ადამიანია იქ, მათ შორის გია ვოლსკი. ნეტა ყველა ეგეთი იყოს, როგორიც ვოლსკია. ის ქვეყნის და ეკლესიის წინააღმდეგ არასდროს წავა. ეკლესიის წინააღმდეგ არასდროს წავლენ ეკა ბესელია, ნუკრი ქანთარია, გოგი თოფაძე, სოსო ჯაჭვლიანი.... ასეთები ბევრნი არიან. ისინი ძალიან კარგად ხვდებიან, თუ რატომ მიდის მართლმადიდებლობაზე შეტევა. არ მინდა, შავი ფიქრები აღმეძრას, მაგრამ ზურაბიშვილის განცხადება უკავშირდება ბიძინა ივანიშვილის განცხადებას. მხედველობაში მაქვს ის განცხადება, სადაც პრემიერი ამბობს, რომ ეკლესიის გაკრიტიკებას არ უნდა მოვერიდოთ. თუმცა ივანიშვილს ნურაფერს დავაბრალებთ. რესპუბლიკელები და ზურაბიშვილი ამ განცხადებამდეც უპირისპირდებოდნენ ეკლესიას. როცა ზურაბიშვილი განათლების მინისტრის მოადგილე იყო, მან თქვა, ახლა ეკლესიას უნდა შევუტიოთო. ჩემს ხელ არსებული ინფორმაციით, სწორედ ამიტომ მიაბრძანეს ის სამინისტროდან. ძალიან არ მინდა, რომ ეკლესიაზე შეტევის დაწყების საფუძველი ივანიშვილის განცხადება გახდეს.

***– მან განაცხადა, რომ ის ეკლესიას თუ გააკრიტიკებს, ამას მხოლოდ სიყვარულით გააკეთებს.***

– მისი განცხადების გაგება ორნაირად შეიძლება. რესპუბლიკელებმა სათავისოდ გაიგეს, იფიქრეს, ჩვენი დრო დადგაო და შეუტიეს ეკლესიას. მე მჯერა, რომ ივანიშვილი მართალს ამბობს და ეკლესიას მხოლოდ სიყვარულით გააკრიტიკებს. კაცი, რომელმაც სამება ააშენა, არა მგონია, მართლმადიდებლობის წინააღმდეგი წავიდეს. ახლა ის ამბობს, კრიტიკა საჭიროაო. ამაში ვერ დავეთანხმები. თუმცა ახალი რუის-ურბნისის კრების მოწვევა შესაძლებელია. დავით აღმაშენებლის დროს მეუფეები დიდგვაროვნები იყვნენ, რომლებიც დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ამიტომაც ჩატარდა რუის-ურბნისის კრება. იმ კრებამ ძალიან კარგად იმოქმედა ქართულ ეკლესიაზე. დღეს ეკლესიისა და ჩვენი უწმინდესის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა არის შეტევა ქართულ ცნობიერებაზე. ეს არის მთავარი, თორემ იმაზე არავინ დავობს, რომ ნაკლი ეკლესიაშიც არის. ქართული ცნობიერების სადარაჯოზე დღეს სწორედ ეკლესია დგას. ამიტომაც ზურაბიშვილებსა და მერაბიშვილებს ვთხოვ, ეკლესიაზე შეტევას თავი დაანებონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკადრის პასუხს მიიღებენ, ისევე, როგორც ისინი, ვინც ლგბტ პირების თავყრილობის გამართვას აპირებს.

***– ვინ აპირებს ამ თავყრილობის გამართვას?***

– ვინ და ლგბტ-ს მხარდამჭერები. ითქვა, რომ ამის გამართვა თურმე საჯარო ბიბლიოთეკაში იგეგმება. უნივერსიტეტის შემდეგ ჩემთვის ყველაზე წმინდა ადგილი არის საჯარო ბიბლიოთეკა. როგორც „ასავალ-დასავალიდან“ შევიტყვე, თავის დროზე გიორგი საბანაძეს წვეულება მოუწყვია საჯაროში, სადაც ფალოსის ფორმის ტორტი მიიტანეს. დაჭრეს და გემრიელად მიირთვეს. ძალიან დიდ ბოდიშს მოვითხოვ თქვენთანაც და მკითხველთანაც, მაგრამ ერთი რამე უნდა ვთქვა, თუ ასე აღაგზნებთ ეს ორგანო, არსებობს ხელოვნური ფალოსები, იყიდონ და ღეჭონ, როგორც ამას ინგლისური ენის მასწავლებლად ჩამოყვანილი ფლეჩერი აკეთებდა, ხოლო თუ მაინცდამაინც გურმანები არიან, მაშინ სააკაშვილი დაკოდონ და მისი ორგანოები მიირთვან. ვითომ ელიტასთან რომ მიხვიდე, გეტყვიან, ტოლერანტები უნდა ვიყოთო. ვისთან უნდა ვიყოთ ტოლერანტები? იციან, რას ნიშნავს საერთოდ ტოლერანტობა? ტოლერანტობა არის ბიოლოგიური ტერმინი, როდესაც ორგანიზმს უცხო ბაცილის შეთვისების უნარი აქვს. თუ ის ბაცილა ვერ შეითვისა ორგანიზმმა, მაშინ კიბო იწყება. ეს არის ქვეყნის გადაგვარება, თორემ ტოლერანტობასა და მიმტევებლობას ჩვენ ვერავინ გვასწავლის.

***– მოდით, ისევ ეკლესიაში მიმდინარე პროცესებს დავუბრუნდეთ. თქვენც ამბობთ, რომ ახალი რუის-ურბნისის კრების მოწვევა ცუდი არ იქნებოდა?***

– ასეთი კრება როგორ არ არის მოსაწვევი, მაგრამ ჩვენ რა უფლება გვაქვს, ეკლესიის შიდა საქმეებში ჩავერიოთ. ეს თავად ეკლესიამ უნდა გააკეთოს. წლების წინ რამდენიმე სასულიერო პირმა პატრიარქის წინადადებას მხარი არ დაუჭირა. მაშინ მე ისინი მკაცრად გავაკრიტიკე, უწმინდესმა საყვედური მითხრა.

***– რატომ გისაყვედურათ?***

– მითხრა, ჩვენ თვითონ შიგნიდან მივხედავთ ამ საქმესო. ეკლესიაში ყველა დროში იყვნენ საეჭვო და შემთხვევითი ადამიანები. ამ მხრივ არც დღევანდელი ეკლესიაა გამონაკლისი. იქ აუცილებლად უნდა ჩატარდეს წმენდა, ოღონდ ეს ეკლესიამ უნდა გააკეთოს. ამაში ჩვენ ვერ ჩავერევით. რესპუბლიკელებმა ამ თემაზე საერთოდ არ უნდა ამოიღონ ხმა. ახლა დგება ყველაზე გადამწყვეტი მომენტი. შევარდნაძის მაქებარი კაცი არა ვარ, მაგრამ მასზე ერთ რამე აუცილებლად უნდა ვთქვა. თავის დროზე შევარდნაძეს უთხრეს, რომ მას ეკლესიისა და მეცნიერებისთვის უნდა შეეტია. ამაზე მან უარი განაცხადა და ამიტომაც მოიშორეს.

***– რატომ არ წავიდა შევარდნაძე ეკლესიის წინააღმდეგ?***

– იმიტომ არ წავიდა, რომ შინაგანად მაინც ქართული ფესვები ჰქონდა. ამის გამო ამერიკელებმა ის გააგდეს. მოიყვანეს სააკაშვილი. პირველი, რაც მან გააკეთა, იყო ეკლესიის წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაცია. მგონი, ყველას ახსოვს, რა ჩაიდინეს 2004 წელს გლდანში, მამა ბასილის მრევლს რა უქნეს. ეკლესია დაარბიეს, ჯვრები მოგლიჯეს. ის ხალხი, ვინც მრევლს არბევდა, ყველა თანამდებობებზე დასვეს. საქართველოს თავის ისტორიის მანძილზე ისეთი დიდი მტერი არასდროს ჰყოლია, როგორიც ნაციონალური მოძრაობა იყო. ჩვენ მიხეილ სააკაშვილის სახით მართლა დიდი ჭირი მოვიშორეთ. მაგრამ მარტო მიხეილ სააკაშვილი ხომ არ არის? სხვებიც არიან. მის კურსს რესპუბლიკელები გააგრძელებენ. იმედი მაქვს, ხელისუფლებაში მყოფი სალი ძალები ამას არ დაუშვებენ. ისინი, ვინც ეკლესიას და ქართულ ცნობიერებას უტევენ, ყველანი უნდა გააშიშვლო და წკეპლა მანამდე ურტყა, სანამ გონს არ მოვლენ.

***– ამ განცხადების გამო არაჰუმანურობას დაგდებენ ბრალად.***

– დამდონ. მაგათი არ მეშინია. არაჰუმანური მოქმედებები კი თავისკენ მოიკითხონ. ესენი ქვეყნიდან უნდა მოიკვეთონ. ეგენი დროულად თუ არ ავლაგმეთ, ჩათვალეთ, რომ საქართველო დაღუპულია. როგორც უკვე გითხარით, ახლა არის გადამწყვეტი ბრძოლა. ჩვენ აღარ უნდა დავუშვათ ისეთი ძალების გაპარპაშება, რომლებიც ქართულ ცნობიერებაზე მიიტანენ იერიშს. მე მჯერა, რომ ივანიშვილი და „ქართული ოცნების“ სალი ნაწილი ამაზე არ წავლენ. ამას არც ხალხი დაუშვებს.

# გიორგი ვაშაძე: ხელისუფლება ჩვენ წინააღმდეგ რეპრესიებს ახორციელებს“

შორენა მარსაგიშვილი

**ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებას პოლიტიკური ოპონენტების დევნაში ადანაშაულებს. ამ შემთხვევაში ისინი საკუთარ თავს ჩივიან, თორემ სხვა პარტიების გამო ხმას ნამდვილად არ ამოიღებდნენ. ისე, ცოტა უცნაური კია, ნაცმოძი რეპრესიების განხორციელებას სხვას რომ აბრალებს. მაგრამ, რას იზამ, ოპოზიციის მანტია აქვთ მოსხმული და ნერვიულობენ.**

რამდენიმე დღის წინ ხელისუფლება რეპრესიების მოწყობაში მიშა მაჭავარიანმა დაადანაშაულა. გუშინ ეს გოდება სხვა ნაციონალებმა გააგრძელეს. გუშინ ხელისუფლება დეპუტატმა გიორგი ვაშაძემ დაგმო. მისი თქმით, ოცნება ნაცმოძს პრაიმერის ჩატარებაში ხელს უშლის.

– ახლოვდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, შესაბამისად, ყველა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, მათ შორის, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაიწყო მზადება, ჩვენ ვატარებთ შიდა არჩევნებს – .პრაიმერებს. სამწუხაროდ, ამ პროცესს „ქართულმა ოცნებამ“ დაუპირისპირა სამართალდამცავი ორგანოები და პოლიტიკური რეპრესიების ახალი ტალღა ადგილობრივი ლიდერების წინააღმდეგ, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

ის შეწუხებულია იმის გამოც, რომ ხელისუფლებამ ამ პროცესში ჩაითრია მოსამართლეებიც.

– კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ამ პროცესში მონაწილეობენ კონკრეტული მოსამართლეები, ქუთაისის სასამართლოს მოსამართლე დავით ახალბედაშვილი და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე მალხაზ გურული. შეგახსენებთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ცხრა თვის წინ ვსაუბრობდით ამ მოსამართლეების მხრიდან ხელისუფლების დაკვეთის შესრულებაზე, როცა განიხილებოდა ვანო მერაბიშვილის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი. მაშინ ხელისუფლებამ საქმე ხელოვნურად გადაიტანა ქუთაისში, რადგან მათ ჰქონდათ გარანტია წინასწარი პატიმრობის შეფარდებისა. გუშინწინ იმავე ახალბედაშვილმა წინასწარი პატიმრობა შეუფარდა ხონის რაიონის გამგებელს, ზურაბ ჯიბუხაიას და გამგებლის მოადგილე მერაბ ჭელიძეს. ბრალდება სრულიად აბსურდულია – ეხება ოთხი წლის წინ 12 ათასი ლარის ღირებულების შეშის დარიგებას სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის. ბრალდების შინაარსიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს არის მხოლოდ პოლიტიკური ანგარიშსწორება.

პარალელურად, იმავე დღეს დააკავეს ახლად არჩეული დუშეთის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ზურაბ ოტიაშვილი. მას დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე პარლამენტის წევრი ირაკლი ტრიპოლსკი დაემუქრა, რომ შეუქმნიდა პრობლემებს, თუ თავს არ დაანებებდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით აქტივობებს, – აღნიშნა დეპუტატმა.

მან ხელისუფლება სიტყვის გატეხაშიც დაადანაშაულა. ვაშაძემ ივანიშვილის, ღარიბაშვილისა და კბილაშვილის განცხადებებიც გაიხსენა.

– გასულ წელს არჩილ კბილაშვილმა განაცხადა პროკურატურის ახალი სტანდარტის შესახებ, რომ „თეთრი საყელოს“ დანაშაულებთან (სამოხელეო და ფინანსური) დაკავშირებით პროკურატურა აღარ მოითხოვდა წინასწარ პატიმრობას. ეს განცხადება არაერთხელ გაიმეორეს ბიძინა ივანიშვილმა და ირაკლი ღარიბაშვილმა. მიუხედავად ამისა, მაინც მოითხოვეს წინასწარი პატიმრობა, რაც სასამართლომაც დაუკმაყოფილა და ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მათი მიზანი იყო არა დანაშაულზე რეაგირება, არამედ პოლიტიკური დევნა. აქვე გვინდა განვაცხადოთ, რომ ხონის მოქმედი გამგებელი ზურაბ ჯიბუხაია და დუშეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ოტიაშვილი მონაწილეობდნენ პრაიმერიზში და დიდი ალბათობით სწორედ ისინი უნდა ყოფილიყვნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატები ხონისა და დუშეთის რაიონების გამგებლის არჩევნებში.

ამასთან, 2012 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ თითქმის ყველა რაიონში დაიწყო ანალოგიური პროცესები, როდესაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი პოლიტიკური ლიდერების მიმართ მასობრივად დაიწყეს გამოძიებები და საქმე წყდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეწყვეტდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერას.

ნათელია, რომ გრძელდება ხელისუფლების კამპანია მთავარი ოპოზიციური ძალის განადგურების მიზნით. ამ ამოცანის თაობაზე არაერთხელ ღიად განაცხადეს ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა და სულ ცოტა ხნის წინ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა. მოვუწოდებთ ყველა მოსამართლეს, არ გახდნენ ამ პოლიტიკური კამპანიის ინსტრუმენტი ოპონენტების დევნაში და ამ გზით მიაღწიონ წარმატებას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, – განაცხადა ვაშაძემ.

# ნინო ბურჯანაძის პარტია 65 ათასი ლარით დააჯარიმეს

შორენა გონგლაძე

ნინო ბურჯანაძის პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ საქალაქო სასამართლომ 65 000 ლარით დააჯარიმა. „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ 2014 წლის 12 თებერვალს პარტიას ჩაბარდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც დააკმაყოფილა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უსამართლო მოთხოვნა და „დემოკრატიული მოძრაობა“ 65 000 ლარის ოდენობით დააჯარიმა.

– იმის მაგივრად, რომ დღეს „ქართული ოცნება“ და საგამოძიებო ორგანოები დაკავდნენ რეზონანსული და გახმაურებული საქმეების გამოძიებით, რასაც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა წელიწადზე მეტია ელოდება, თორდია-მოგელაძის სამსახურის მიერ უზარმაზარი რესურსი იქნა დახარჯული „დემოკრატიული მოძრაობის“ საქმიანობის შესწავლისთვის წინასაარჩევნო პერიოდში და, რეალური საფუძვლის არარსებობის მიუხედავად, მოსა-



მართლე ილონა თოდუამ მაინც გამოიტანა უსამართლო და არაობიექტური გადაწყვეტილება. შეგახსენებთ, ეს ის მოსამართლე გახლავთ, რომელმაც ბიძინა ივანიშვილს ზარ-ზეიმით ჩამოართვა საქართველოს მოქალაქეობა. საგანგაშოა, რომ მიუხედავად ხელისუფლების ცვლილებისა, დღემდე მოქმედებს ის კაბალური კანონები, რომლებიც „ნაციონალური ხელისუფლების“ მიერ რეალური ოპოზიციის დასჯისთვის იყო შექმნილი. იმის მაგივრად, რომ „ქართულ ოცნებას“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის დაებრუნებინა თავისი რეალური დანიშნულება, რაც პრევენციული ხასიათის ღონისძიებების გატარებით შემოიფარგლება, ის დღემდე უნარჩუნებს აუდიტის სამსახურს სადამსჯელო ფუნქციას. არ გვინდა ვიფიქროთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის დაჯარიმება პირდაპირ ემსახურება „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ საერთო ინტერესებს. „დემოკრატიული მოძრაობა“ მოუწოდებს ხელისუფლებას, აღნიშნულ საკითხზე ადეკვატური რეაგირება მოახდინოს. ჩვენ ბრძოლას სამართლებრივი გზით გავაგრძელებთ და, დარწმუნებულნი ვართ, რომ აუცილებლად მოვა ქვეყანაში დრო, როდესაც მივაღწევთ სამართლიანობას არა მხოლოდ ჩვენი პარტიისათვის, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის, – ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

რაც შეეხება დაკისრებულ ჯარიმას, „დემოკრატიული მოძრაობის“ იურისტ ქეთი ზაქარეიშვილის განცხადებით, პარტია მას 19 თებერვლამდე გადაიხდის.

– კონტროლის პალატა აცხადებს, თითქოს ჩვენ საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში შემოწირულობები დავფარეთ. ეს კი არ შეესაბამება სიმართლეს. შემიძლია წარმოგიდგინოთ როგორც აუდიტის სამსახურის წერილი, ასევე ის ანგარიშები, რომლებიც ჩვენ მათ გადავუგზავნეთ. რეალურად ადგილი ჰქონდა უმცირეს და უმნიშვნელო ტექნიკურ დარღვევებს. აუდიტის სამსახურმა პრევენციის მიზნით გვაჩვენა დარღვევები. ჩვენ უსწრაფესად გავითვალისწინეთ და გავასწორეთ. თუმცა მათ ეს არ გაითვალისწინეს. ჩვენი პოზიცია არ გაითვალისწინა არც მოსამართლემ. გადახდის ვადა 19 თებერვალს გვეწურება. როგორც კანონმორჩილები, ამ თანხას გადავიხდით, თუმცა აუცილებლად გავაპროტესტებთ ზემდგომ ინსტანციაში. ჩვენი სიმართლის დამტკიცების შემთხვევაში ეს თანხა დაგვიბრუნდება, – აცხადებს ქეთი ზაქარეიშვილი.

# ხაიშელების ყრილობას იურიდიული ძალა არ აქვს

გულიკო ბალაძე

**„ხუდონჰესის“ აშენების იდეა ახალი არ არის, მაგრამ პროექტის განხორციელებას ხელი სააკაშვილის რეჟიმის პირობებში მოეწერა, ინვესტორიც მოიძებნა და, როგორც ირკვევა, ხელშეკრულებაც გაფორმებულია.**

წინასაარჩევნო პერიოდში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ახლანდელი სახელისუფლებო გუნდი უარს იტყოდა ამ პროექტის განხორციელებაზე, თუმცა, ასე არ მოხდა და მოსახლეობაც აქტიურად ეწინააღმდეგება მათ.

ძნელი სათქმელია, რატომ ვერ თქვა ახალმა ხელისუფლებამ უარი ამ პროექტის განხორციელებაზე. იმიტომ, რომ დიდი მოგება მოაქვს თუ ინვესტორისთვის უარის თქმის შემთხვევაში დიდი საჯარიმო თანხა ექნება სახელმწიფოს გადასახდელი?

ის ფაქტი, რომ ამ საკითხმა მთელი სვანეთი ფეხზე დააყენა, ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს. ამ საკითხში მოსახლეობის პროტესტი მნიშვნელოვანია. თუმცა, „ახალგაზრდა ადვოკატები“ აცხადებენ, რომ „ხუდონთან“ დაკავშირებით არც ერთ ყრილობას იურიდიული ძალა არ გააჩნია.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ „ხუდონჰესის“ პროექტის სამართლებრივი კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

ორგანიზაცია მიუთითებს, რომ ყველაზე მთავარი პრობლემა, რომელიც გამოკვეთილია, ადგილობრივი საზოგადოების მწირი ინფორმირებულობაა, მათ შორის პროექტის შედეგების, გამოწვევებისა და მნიშვნელობის შესახებ. კვლევის ავტორების აზრით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობის ცალკეული სამინისტროები ამ საკითხთან დაკავშირებით კოორდინირებულ რეჟიმში მუშაობდნენ, რათა „ხუდონჰესის“ პროექტზე ხელისუფლებას გააჩნდეს ერთიანი პოზიცია.

ორგანიზაციის შეფასებით, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ადგილობრივ მოსახლეობას უფლება აქვს (თუკი კანონით გათვალისწინებული ამკრძალავი გარემოებები არ არსებობს), წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ.

– ხაიშის მოსახლეობის შეკრება კონსტიტუციური უფლების რეალიზებას წარმოადგენს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინფორმირება და შემდგომ თანხმობის გაცემა ან და თანხმობაზე უარი იმ შემთხვევაშია საჭირო, თუკი შეკრება ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს, – აღნიშნავს ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“.

ორგანიზაცია მიუთითებს, რომ მოქალაქეების მიერ შეკრებებსა და მანიფესტაციებზე მიღებული ვერც ერთი გადაწყვეტილება ვერ შეიძენს იურიდიულ ძალას, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა მოქალაქეთა ჯგუფის შეკრებას, მიტინგს, საპროტესტო აქციას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში არ განიხილავს რომელიმე იურიდიული ძალის მქონე გადაწყვეტილების წინაპირობად.

– ადგილობრივი მოსახლეობის შეკრება საზოგადოებრივი აზრის გამომხატველია, რომელიც კონკრეტული საკითხის მიმართ შეიძლება არსებობდეს.

ორგანიზაცია აცხადებს, რომ ყურადღებას დაუთმობს „ხუდონჰესის“ პროექტის განხილვების პროცესში, ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის საპროტესტო აქციებისა და ყრილობის მომზადების პროცესში, აღმასრულებელი, საკანონმდებლო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ზოგიერთი წარმომადგენლის მონაწილეობას და მათი მხრიდან შეკრებების ორგანიზებაში შეტანილ წვლილს.

– იმ შემთხვევაში, თუკი „ხუდონჰესის“ მშენებლობა საქართველოს მთავრობას „სახელმწიფო ინტერესის“ საკითხად აქვს წარმოდგენილი, ხოლო მეორე მხარეს არსებობს „საზოგადოებრივი ინტერესი“, ხელისუფლების ნებისმიერი შტოს წარმომადგენელი მოქმედებს შეზღუდული უფლებამოსილებით და კანონი არ მიუთითებს ვალდებულებას, მონაწილეობდეს ზემოთ აღნიშნული ხასიათის ღონისძიებებში. არსებობს შემთხვევები, როდესაც „სახელმწიფო ინტერესი“ პრიორიტეტულია, ვიდრე „საზოგადოებრივი ინტერესი,“ რადგანაც სწორედ სახელმწიფო განსაზღვრავს ქვეყნისთვის სტრატეგიული პოლიტიკის მიმართულებებს.

ამიტომაც რომელიმე საზოგადოებრივი შეკრება შეუძლებელია გამოვიყენოთ „სახელმწიფო ინტერესების“ საპირწონედ, თუკი „ხუდონჰესის“ მშენებლობას საქართველოს მთავრობის მხრიდან „სახელმწიფოებრივი ინტერესის“ სტატუსი გააჩნია, – ასეთია „ახალგაზრდა ადვოკატების“ განმარტებები.

ორგანიზაციას მისაღებად მიაჩნია, გაძლიერდეს მოსახლეობასა და მთავრობის შესაბამის სამინისტროებს შორის კომუნიკაცია, რათა ადგილობრივ საზოგადოებას მოსალოდნელი შესაძლო ცვლილებების მიმართ ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია.

– მიგვაჩნია, რომ არ უნდა დარჩეს არც ერთი კითხვა უპასუხოდ, რომელიც დაკავშირებულია ადგილზე კულტურული ძეგლების დაცვისა თუ განახლების პროცესთან, – მიიჩნევენ „ახალგაზრდა ადვოკატები“.

ორგანიზაცია მიუთითებს პროცესისა და დიალოგის გამჭვირვალობის აუცილებლობაზე, რათა „ხუდონჰესის“ პროექტის ეკონომიკური და სამართლებრივი ანალიზი, გამოწვევები და რისკები საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი გახდეს.

შეიძლება, ხალხის შეკრებებს, „ხუდონთან“ დაკავშირებით ჩატარებულ არც ერთ ყრილობას იურიდიული ძალა არ გააჩნია, მაგრამ ძნელია, ხალხის ნებას შეეწინააღმდეგო იმ შემთხვევაშიც კი, „თუ „ხუდონჰესის“ მშენებლობა საქართველოს მთავრობას „სახელმწიფო ინტერესის“ საკითხად აქვს წარმოდგენილი“. არსებობს „საზოგადოებრივი ინტერესი“, შენარჩუნდეს ის გარემო, რაც დღეს არსებობს „ხუდონჰესის“ შესაძლო მშენებლობის ადგილზე.

შეიძლება, არსებობს შემთხვევები, როდესაც „სახელმწიფო ინტერესი“ პრიორიტეტულია, ვიდრე „საზოგადოებრივი ინტერესი,“ რადგანაც სწორედ სახელმწიფო განსაზღვრავს ქვეყნისთვის სტრატეგიული პოლიტიკის მიმართულებებს, მაგრამ ხალხს იმ ტერიტორიიდან ძალით ვერ აყრი და ვერ გადაასახლებ, თანაც ხელისუფლების წყარო ხალხია და ხალხის ხმა ყოველთვის მნიშვნელოვანია. ყველაზე დიდი პრიორიტეტი სახელმწიფოსთვის მისი მოქალაქეა. ამიტომ სახელმწიფომ ან მოსახლეობა უნდა დაარწმუნოს მის სწორ მოქმედებაში ან უნდა შეეშვას ამგვარ პროექტებს.

# თურქეთის ელჩმა საგარეო უწყებაში შეხვედრა გამართა

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი შეხვდა საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ელჩს ზექი ლევენთ გუმრუქჩუს.

ოფიციალური ინფორმაციით, მინისტრის პირველმა მოადგილემ მიმოიხილა საქართველო-ევროკავშირისა და საქართველო-ნატოს ურთიერთობები, ასევე შეეხო რუსეთთან ურთიერთობების საკითხებს, ჟენევის ფორმატში მიმდინარე მოლაპარაკებებსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობას.

შეხვედრისას ასევე განხილული იქნა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის საკითხები და მათი გაღრმავების პერსპექტივები. ამასთან, თურქულმა მხარემ გამოხატა მკაფიო მხარდაჭერა საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან დაკავშირებით.მინისტრის პირველმა მოადგილემ თურქ დიპლომატს მიულოცა საქართველოში ელჩად დანიშვნა და უსურვა წარმატებული საქმიანობა.

**მედიანიუსი**

# დავით უსუფაშვილი უნგრეთის სახელმწიფო მინისტრს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში უნგრეთის სახელმწიფო მინისტრ ჟოლტ ნემეტს შეხვდა.

როგორც „მედიანიუსს“ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან აცნობეს, ეს უნგრეთში მისი ოფიციალური ვიზიტის პირველი შეხვედრა იყო. ჟოლტ ნემეტმა ქართულ დელეგაციას უნგრეთში ჩასვლისათვის მადლობა გადაუხადა.

„ვიცით, რომ ბოლო წლის განმავლობაში ძალიან ბევრი სირთულე გადაიტანეთ და ვილნიუსის სამიტზე მიღწეული წარმატება ამის ფონზე კიდევ უფრო დასაფასებელია. მინდა კიდევ ერთხელ გამოგიცხადოთ, რომ უნგრეთი საქართველოს სანდო და ხანგრძლივი მეგობარია“, - განაცხადა ჟოლტ ნემეტმა.

დავით უსფაშვილის თქმით, მიმდინარე ვიზიტმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ უნგრეთსა და საქართველოს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობები აქვთ და იმედი გამოთქვა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ეს ურთიერთობები კიდევ უფრი გაღრმავდება.

„გვსურს თქვენთან ერთად განვიხილოთ არსებითი მნიშვნელობის საკითხები. თქვენგან გვინდა პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება, თუ როგორ გავიაროთ ეს არცთუ ისე იოლი გზა“, - აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

**მედიანიუსი**

# ეკონომიკური მდგომარეობა უმჯობესდება

შორენა გონგლაძე

**საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს 25 საბაზისო პუნქტით _ 4.00 პროცენტამდე ზრდის. ამის მიზეზად ეროვნული ბანკი ეკონომიკაში ბოლოდროინდელი ტენდენციების გამო მნიშვნელოვნად შერბილებული პოლიტიკის შენარჩუნების საჭიროების არარსებობას ასახელებს.**

როგორც საქართველოს ეროვნულ ბანკში აცხადებენ, ამავე ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2014 წლის 12 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 25 საბაზისო პუნქტით გაზრდის შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 4 პროცენტს შეადგენს.

დღეისათვის არსებული პროგნოზების მიხედვით, მოსალოდნელია, რომ ინფლაცია მიზნობრივ დონეს 2014 წლის მეორე ნახევარში დაუახლოვდება. იანვარში მთლიანმა სფი ინფლაციამ 2.9 პროცენტი შეადგინა. წინა თვესთან შედარებით კი ფასები 0.8 პროცენტით გაიზარდა.

ეს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის პირველი ზრდაა ბოლო 2.5 წელიწადში, რა პერიოდშიც განაკვეთი 8%-დან 3.75%-მდე ანუ იმ ნიშნულამდე შემცირდა, რაც ყველაზე დაბალ განაკვეთს წარმოადგენდა მას შემდეგ,




რაც 2008 წლის იანვრიდან ეროვნულმა ბანკმა ყოველთვიური რეფინანსირების განაკვეთების დაწესება დაიწყო.

– წლის ბოლოს ეკონომიკური აქტივობის გამოცოცხლება დაფიქსირდა. წინასწარი შეფასებით, ნოემბერ-დეკემბერში ეკონომიკური აქტივობის ზრდამ 8 პროცენტს გადააჭარბა. აღნიშულიდან გამომდინარე, მეოთხე კვარტალის საპროგნოზო ზრდა 6.9 პროცენტს შეადგენს, ხოლო მთლიანად 2013 წლის მშპ-ს ზრდა 3.1 პროცენტს მიაღწევს. მეოთხე კვარტალში ეკონომიკურ ზრდას, საგარეო მოთხოვნასთან ერთად (რაც წინა პერიოდებშიც აქტიური იყო), შიდა მოთხოვნის გააქტიურებამაც შეუწყო ხელი. შიდა მოთხოვნის გააქტიურებაზე მიუთითებს იმპორტის მაღალი წლიური ზრდის ტემპები, განსაკუთრებით აღსანიშნავია საინვესტიციო იმპორტის ზრდა, რამაც მომდევნო პერიოდებში ეკონომიკური ზრდის აღდგენა უნდა წაახალისოს.

2013 წლის მეორე ნახევრიდან შეინიშნება ბანკების საკრედიტო აქტივობის ზრდა, რაც მნიშვნელოვნად გაიზარდა წლის ბოლო თვეების განმავლობაში. 2013 წლის განმავლობაში კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელი გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 16 პროცენტით გაიზარდა, – აცხადებენ ეროვნულ ბანკში. მათივე ინფორმაციით, ეკონომიკური აქტივობა ბოლო თვეებში გამოცოცხლდა, ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნის ზრდის წყალობით და ეს ტენდენცია 2014 წლის პირველ ნახევარშიც გაგრძელდება. რაც შეეხება ეკონომიკურ აქტივობას, „საქსტატის“ მიერ 30 იანვარს გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემების თანახმად, საქართველოს ეკონომიკა 2013 წლის მეოთხე კვარტალში 6.9%-ით გაიზარდა. 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტის წლიურმა რეალურმა ზრდამ, „საქსტატის“ წინასწარი მონაცემებით, 3.1% შეადგინა.

2013 წლის აგვისტოს შემდგომ პერიოდში ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2.8 პროცენტით გაუფასურდა. ეროვნული ბანკის შეფასებით, აღნიშნული გაუფასურების გავლენა სამომხმარებლო ფასებზე დაახლოებით 1 პროცენტულ პუნქტს შეადგენს, რაც უკვე გათვალისწინებულია ინფლაციის მიმდინარე პროგნოზში.

როგორც ეროვნულ ბანკში აცხადებენ, ბოლო პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის გამოცოცხლება შეინიშნება და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ტენდენცია 2014 წლის პირველ ნახევარშიც შენარჩუნდება.

# ირაკლი ღარიბაშვილი: მე ჩავალ და ავუხსნი ხაიშელებს ხუდონჰესის მნიშვნელობას“

ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხუდონჰესთან დაკავშირებით ვრცელი განმარტება გააკეთა: „ხუდონჰესთან დაკავშირებით არაერთხელ მითქვამს და მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო და განვმარტო შემდეგი – მე მესმის იმ ადამიანების მღელვარების მიზეზი და მესმის მათი შეშფოთება. ფაქტია, რომ ამ ადამიანებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ხუდონჰესის მშენებლობას, ჯერ კიდევ აქვთ კითხვები ამ პროექტთან დაკავშირებით. ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია, რომ ამ ადამიანებს უბრალოდ და მარტივად განუმარტოს – რა მოცემულობა გვაქვს, რა სარგებელს მოუტანს აღნიშნული პროექტი ქვეყანას, რა რისკების შემცველია მშენებლობა, თუ ასეთი რისკები არსებობს, ან ზოგადად რამდენად პერსპექტიული და რამდენად სასარგებლო პროექტია ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი შვილებისთვის, მათი შვილებისთვის და მათი მომავლისათვის. ასევე მათ მიერ წამოჭრილი პრობლემების და საკითხების მოგვარების გზები უნდა იქნეს მოძიებული. ამაში აქტიური მონაწილეობა სახელმწიფომ უნდა მიიღოს. თუ ამ ყველაფრის შემდეგ ამ ადამიანებს კვლავ ექნებათ კითხვები, ჩვენ უნდა მივმართოთ ყველა ღონეს, რომ ამ ადამიანებს ეს კითხვები მოვუხსნათ. არ დარჩეს არც ერთ მოქალაქეს, არც ერთ ხაიშელს კითხვა, რომ ეს პროექტი არის გაუაზრებელი ან უსარგებლო მათთვის. ჩემი შეფასებით, ეს პროექტი რეალურად ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისათვის და ენერგოუსაფრთხოებისთვის. აქედან გამომდინარე, რაც მთავარია, ეს პროექტი მოიტანს სვანეთის რეგიონისათვის რეალურ აყვავებას. ძალიან დიდ შემოსავლებზეა საუბარი, ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ უფრო მეტი კომუნიკაციაა საჭირო ამ ხალხთან. უბრალოდ, უნდა ავუხსნათ, დავარწმუნოთ და თუ ვერ ვარწმუნებთ, ეგ ჩვენი ბრალი იქნება, ჩვენი პრობლემაა.

ჩვენ თუ ამ ადამიანებს სათანადოდ ვერ ვუხსნით, რომ ეს პროექტი არის რეალურად სასარგებლო და ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი, ეს არის ჩვენი ვალდებულება. ამიტომ ცდილობს კახა კალაძე, რომელიც ასევე შეწუხებულია და ფიქრობს, რომ დაიწყოს აქტიური დიალოგი და კომუნიკაცია ამ ადამიანებთან. სოზარ სუბარი და ვიქტორ ჯაფარიძეც იყვნენ ამ პროცესში ჩართულნი. ეს ადამიანები აიღებენ ვალდებულებას, ადგილზე ჩავიდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას აუხსნან პროექტის მნიშვნელობა. საჭირო თუ გახდა, მეც ჩავალ, მეც ავუხსნი და ჩვენ ერთად უნდა დავარწმუნოთ ეს ადამიანები. რა თქმა უნდა, ჩვენს მოქალაქეებზე ზეწოლას არ დავუშვებთ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქმე გვაქვს ძალიან სერიოზულ ინვესტორებთან, რომლებიც ასეთი მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელებას აპირებენ ჩვენს ქვეყანაში. ასე რომ, ამ ორი ინტერესის თანხვედრა უნდა მოვახდინოთ და, ბუნებრივია, ამაში ჩვენი როლი ძალიან მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ, რომ ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსენსუსს მივაღწევთ“.



ირაკლი ღარიბაშვილი



კახა კალაძე

ენერგეტიკის მინისტრს პროექტის ფარგლებში „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ გამართულ შეხვედრაზე ჟურნალისტებმა კითხვების უმეტესობა ხუდონჰესის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე დაუსვეს.

„კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო, რომ ხუდონჰესის პროექტი ჩვენი ქვეყნისთვის არის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ პროექტი განხორციელდეს უმტკივნეულოდ და მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული მოსახლეობის ინტერესები. სოფელ ხაიშში ადამიანთა უმრავლესობას სურვილი აქვს, ხუდონჰესის პროექტი განხორციელდეს“, – განაცხადა ვიცეპრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

# ვალერი გელბახიანი: რუსეთთან დიალოგი აუცილებელია!“

თამარ ნინიძე

**ვალერი გელბახიანმა „რეპორტიორის“ პრესკლუბში პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რუსეთის პოლიტიკა რაოდენ აგრესიულიც უნდა იყოს, სჯობს, საქართველო ეცადოს მასთან დიალოგს და კონსტრუქციულ თანამშრომლობას. რუსეთი რასაც აცხადებს რა პოზიციაც აქვს, ეს მართალია თუ არა, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ, ის არის ქვეყანა, რომელიც გლობალური ინტერესების გათვალისწინებით ზრუნავს იმაზე, რომ ახალი გაერთიანება შექმნას და ახალი მოკავშირეები შეიძინოს, ამ მხრივ ის საქართველოს და ზოგადად კავკასიას ამ ინტერესებში ხედავს.**

ვალერი გელბახიანი იწონებს ახალი ხელისუფლების ფრთხილ დამოკიდებულებას რუსეთთან მიმართებით და მიაჩნია, რომ აგრესიას სახელმწიფო არ უნდა გადავაყოლოთ.

– გავიხსენოთ, როგორი დაუცველი ვიყავით ომის დროს. საერთაშორისო მხარდაჭერა მხოლოდ განცხადებებით შემოიფარგლებოდა, იმაზე არ ღირს ერთი ამბის ატეხა, რატომ იყო საქართველოს რუკაზე აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთი ოსეთი ღრუბლებით დაფარული. მთავარია, რომ რუსეთი შეეცადა წარმოეჩინა საქართველო ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში და ამით დაიწყო ნელ-ნელა არაღიარების პოლიტიკა, – მიაჩნია გელბახიანს.



მისი თქმით, „ქართული ოცნება“ გაცილებით უფრო პროგრესული ხელისუფლებაა, ვიდრე იყო ნაცმოძრაობა, რომელსაც დღემდე აქვს ანტირუსული ისტერიკა. გელბახიანმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს სომხეთი ჩასაფრებული იყო და ცდილობდა, რუსეთთან ერთად საქართველო ორად გაეხლიჩა და ასე დაახლოებოდა რუსეთს. ეს გეგმა იხილებოდა და, არ არის გამორიცხული, რომ ახლაც დღის წესრიგშია. ვალერი გელბახიანს არ ესმის, რატომ არის ატეხილი ასეთი აჟიოტაჟი რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრასთან დაკავშირებით და სვამს კითხვას: რა არის ცუდი იმაში, რომ ორი ქვეყნის პრეზიდენტი ერთმანეთს შეხვდეს?

გელბახიანი ივანიშვილის გააქტიურებასაც შეეხო სამოქალაქო სექტორში. მისი თქმით, საქართველოს ბევრი შიდა პრობლემა აქვს, არ არის ახსნილი ქართული ფენომენი, ეს ვერ ახსნეს ისტორიკოსებმა, ფილოსოფოსებმა და ფსიქოლოგებმა, ერს უნდა გააჩნდეს რაღაც ფასეულობები, ეს ფასეულობების სისტემა ერთობლიობაში უნდა იქნეს მოყვანილი. საქართველოს დიდი სისუსტე და ნაკლი ის არის, რომ ერში არ არის სოლიდარობისა და ერთიანობის პრინციპი, როგორ უნდა გამთლიანდეს ერი, ეს არის ივანიშვილის ისტორიული ამოცანა.

– არა მგონია, ივანიშვილმა ოდესმე შეძლოს მის მიერ მოყვანილი მთავრობისა და პარლამენტის კრიტიკა. ის ამას არ გააკეთებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ის საკუთარ თავს აკრიტიკებს, თუმცა ამ ხელისუფლებაზე პასუხისმგებელი სწორედ ივანიშვილია. პარლამენტის უმოქმედობასა და მთავრობის შეცდომებზე საუბარი და ამის გამართლება მოუწევს. დღევანდელი პარლამენტი ვერ წყვეტს ქართული სახელმწიფოს ვერც ერთ ამოცანას და ეს ხალხი მხოლოდ იმიტომ არის არჩეული, რომ ამომრჩეველმა ხმა ივანიშვილს მისცა, – ამბობს გელბახიანი.

ვალერი გელბახიანს მიაჩნია, რომ ივანიშვილს აქვს ზეკაცის განზომილება, ის, რაზეც წერდა ფილოსოფოსი ნიცშე. რაც ივანიშვილმა დაისახა, ფაქტია, რომ კიდეც შეასრულა, ქვეყანას სჭირდება რევოლუციური გარდაქმნები და მას ამაში სერიოზული ძალისხმევა სჭირდება, რომ გამოწვევებს უპასუხოს. გელბახიანს სჯერა, რომ ივანიშვილი ამასაც შეძლებს, მაგრამ მთავარია, ივანიშვილმა არ დაიპირისპიროს ექსპერტები, ჟურნალისტები, ეკლესია და სხვა ფენები, მან ერი უნდა გააერთიანოს და არა დაანაწევროს.

# ყაზტრანსგაზი“ სალიცენზიო პირობების დარღვევის გამო დაჯარიმდება

მარიკა მჭედლიშვილი

კომპანია „ყაზტრანსგაზი-თბილისი“ 5000 ლარით უნდა დაჯარიმდეს-ასეთი გადაწყვეტილება ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა კომისიამ თავის სხდომაზე მიიღო.

საქმე ეხება ცოტა ხნის წინანდელ ფაქტს, როცა თბილისელმა მომხმარებლებმა ბუნებრივი აირის დანახარჯის ამსახველი არასწორი მონაცემები მიიღეს. დარიგებული ქვითრების მიხედვით, ერთი თვის საფასურის ნაცვლად აბონენტების ნაწილს თვენახევრის ან ორი თვის გადასახადი უნდა გადაეხადა. დაზარალებულებმა თბილისის საკრებულოსაც მიმართეს, სადაც ამ საკითხის შემსწავლელი კომისიაც შეიქმნა. დედაქალაქის გაზის კომპანიამ მაშინ დაზარალებულებს მოუწოდა, საკითხი ინდივიდუალურად „ყაზტრანსგაზშივე“ გაერკვიათ.

სემეკის გადაწყვეტილებით, „ყაზტრანსგაზი-თბილისი“ სალიცენზიო პირობების დარღვევის გამო უნდა დაჯარიმდეს, ვინაიდან, 2013 წლის დეკემბერსა და 2014 წლის აიანვარში მიხდა მოხმარებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვის წესის დარღვევა. დაზარალებულ მოსახლეობას კი თანხების დაფარვა 1 მარტამდე გადაუვადდება.

მარეგულირებელი კომპანიის გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან „ყაზტრანსგაზი-თბილისში“. კომპანია აპირებს, „დაჯარიმების პუნქტი“ გაასაჩივროს. რაც შეეხება გადასახადის გადავადებას, გაზის კომპანია აცხადებს, რომ თანხების დაფარვის ვადა თავად გადაუწია მომხმარებლებს.

# სევდია უგრეხელიძე თბილისის ბიუჯეტს მოსახლეობასთან ერთად შეადგენს

მარიკა მჭედლიშვილი

**თბილისის საკრებულომ მერიის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი მეორედ რომ ჩააგდო, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საბიუჯეტო თემა ამოწურულია, ან კიდევ, „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის დავა (მათ შორის დაპირისპირება მხოლოდ რამდენიმე თვითმმართველობაში შეინიშნება) დამთავრდა. მერიას უფლება აქვს, 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი კიდევ ერთხელ წარუდგინოს. სიახლე კი მაშინ იქნება, თუ საკრებულოს უმრავლესობა ბიუჯეტის პროექტს კიდევ ერთხელ (11 მარტამდე) დაიწუნებს. ამ შემთხვევაში ცენტრალური ხელისუფლება, კანონიდან გამომდინარე, დროებით მთავრობას დანიშნავს.**

საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი კახა კუკავა („თავისუფალი საქართველო“) ორ კვირაზე მეტია, ირწმუნება, რომ ბიუჯეტის ჩაგდების მიზანი სწორედ ესაა. მერის მოვალეობის შემსრულებლად, მისი თქმით, ხელისუფლება საკრებულოს ახლანდელ თავმჯდომარეს, ირაკლი შიხიაშვილს დაამტკიცებს. ამ სიტუაციაში ადგილიბრივი არჩევნები ზედმეტი თავის ტკივილის გარეშე ჩატარდება და „ნაციონალებს“ დედაქალაქის საბიუჯეტო თანხებს ჩამოაცილებენ.

მერის მოვალეობის შემსრულებელი სევდია უგრეხელიძე ბიუჯეტის პროექტის მესამედ წარმოდგენამდე ხალხში გასვლას აპირებს.

– დავეთათბირებით მოქალაქეებს. შევალთ ყველა უბანში. იმედი მაქვს, უფრო მეტ ინფორმაციას ავკრეფთ და შევძლებთ, უკეთესი ბიუჯეტის პროექტი შევიმუშაოთ. თუმცა, არა ვართ დარწმუნებული, რომ იგი მიღებული იქნება-აცხადებს სევდია უგრეხელიძე.

მისი თქმით, მათი, ანუ „ნაციონალები“ ოპონენტები „გეგმავენ საკრებულოს დაშლას, მერიის დაუფლებას ან საერთოდ უბიუჯეტოდ ყოფნას, რაც, ცუდად აისახება თბილისელების ყოფა-ცხოვრებაზე.“

შეგახსენებთ, რომ 12 თებერვალს საკრებულოს უმრავლესობის აღელვება (საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაშიც და საკრებულოს სხდომაზეც) გამოიწვია იმან, რომ მერიამ მეორედ წარმოდგენილ პროექტში (საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინების მოტივით) გაზრდილი შემოსავლები (65 მილიონი)თბილისის მიწებისა და ობიექტების მომავალ გაყიდვას დაუკავშირა.

– ისინი აპირებენ გაყიდონ თბილისელების ქონება. მაგალითად, ჭადრაკის სასახლე, დილმის ჭალები, თბილისის ზღვის ტერიტორიები. ამ მეთოდით სურთ, გააჩინონ განცდა იმისა, რომ ფული არსებობს. ესაა ნაციონალების ავანტიურისტული გეგმა, რადგან, თუ ობიექტები არ გაიყიდა და ფული არ გაჩნდა, ბიუჯეტს ელოდება გარღვევა-ასეთია უმრავლესობის პოზიცია.

– ეს არის უტოპიური ბიუჯეტი, რისი შესრულებაც მოუწევს დედაქალაქის ახალ მთავრობას, რომელიც მაისის შემდეგ უნდა მოვიდეს არჩევნებით ხელისუფლებაში. იგი ვერ შეასრულებს ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულ ამოცანებს და მოსახლეობას დიდი პრობლემები შეექმნება.

მერის მოადგილე პაპუნა პეტრიაშვილი საკრებულოს აფრთხილებს, რომ პრობლემები მარტიდანვე იჩენს თავს, თუ დედაქალაქი უბიუჯეტოდ დარჩა. ამავე თემაზე

რამდენიმე დღის წინ საუბრობდა „ბაგა-ბაღების სააგენტოს“ ხელმძღვანელი რამაზ სულამა-



ნიძე, რომელიც ამბობს, რომ ბიუჯეტის არდამტკიცება მარტიდან სკოლამდელი დაწესებულებების საქმიანობას შეაფერხებს. ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი, აკაკი ჯოხაძე აღნიშნავს, რომ საზრუნავი მის სფეროშიც იმატებს, ვინაიდან, შეღავათებით მოსარგებლეთა მგზავრობის დასაფარად სხვა პროექტებისათვის ფულის ჩამოჭრა გახდება აუცილებელი.

როგორ განვითარდება მოვლენები, დრო გვიჩვენებს. ცხადი ისაა, რომ წინ ადგილობრივი არჩევნებია და ამიტომ, საკრებულოებში დიდი ხმაურია მოსალოდნელი.

# მაკა მახარაძის საბალეტო სტუდია პრემიერას ითამაშებს



ეკა ირემაშვილი

15 თებერვალს მაკა მახარაძის საბალეტო სტუდია „ვერის უბნის ტანცკლასი“ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის თანადაფინანსებით პრემიერას ითამაშებს. ახალი საბალეტო სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრში იქნება წარმოდგენილი.

პრემიერას „ჯადოსნური მეჯლისი“ ეწოდება, რომლის ქორეოგრაფიაც მარიამ ალექსიძეს ეკუთვნის, მუსიკალური კომპელაცია პაატა გოძიაშვილს, მხატვარი კი ანა კალატოზიშვილია. სპექტაკლში მონაწილეობენ პატარა ბალერინები და თამარ მაყაშვილი. საბალეტო წარმოდგენა ეფუძნება ფრანგი კომპოზიტორების ჟორჟ ბიზეს, გაბრიელ ფორეს, მორის რაველის, კლოდ დებიუსის, დარიუს მიიოსა და ერის სატის ნაწარმოებებს.

**მაკა მახარაძე, საბალეტო სტუდიის ხელმძღვანელი:**

– „ვერის უბნის ტანც კლასის“ ბავშვები ღამით სტუდიაში შეიაპრებიან. მათ იქ მოულოდნელი სიურპრიზი – უამრავი საინტერესო სათამაშო დახვდებათ. უეცრად შარლ პეროს მეზღაპრის დედა ბატის მსახური აღმოჩნდება და დედა ბატს სტუდიაში შეიპატიჟებს. დედა ბატი ჯადოსნურ წიგნს გადაფურცლავს და პატარა ბალერინებს გარდასულ დროთა ამბებსა და შარლ პეროს იმ ზღაპრებს უყვება, რომლის მიხედვითაც საინტერესოს საბალეტო სპექტაკლები იდგმება. ბავშვებს ძილი მოერევათ. თურმე ღამით სტუდიაში სათამაშოები ცოცხლდებიან და დილამდე მეჯლისს მართავენ. ერთი ღამით ბავშვებით თავის საყვარელ სათამაშოებად გადაიქცევიან და მეჯლისის მონაწილეები ხდებიან. გაღვიძებისას ისინი ვერ ხვდებიან ეს ჯადოსნური მეჯლისი ნამდვილი იყო თუ სიზმარი... მაგრამ ბალეტის გაკვეთილები ხომ გრძელდება და ასეთი ზღაპრული სიზმრები მათ ცხოვრებაში კვლავ განმეორდება.

***– თქვენი საბალეტო სტუდიის ყველა ბავშვი მონაწილეობს ამ სპექტაკლში?***

– დიახ. ჩვენს სპექტაკლებში ყოველთვის ყველა ბავშვი მონაწილეობს. ჩვენ არ ვართ პროფესიული სკოლა და ამის უფლება გვაქვს. პროფესიულ სკოლაში უფრო სხვა დამოკიდებულებაა, უფრო პროფესიული მიდგომაა. ჩვენ ვართ სტუდია და ამიტომ შეგვიძლია გავაკეთოთ ასეთი რამ. ყველა, ვინც სწავლობს ჩვენს სტუდიაში, ამ სპექტაკლში მონაწილობს.

***– რამდენი ბავშვი სწავლობს თქვენთან?***

– დაახლოებით 90 ბავშვია, მაგრამ გაყოფილი არიან ორად.

***– რა ასაკის ბალერინები გყავთ?***

– 4-დან 12 წლამდე.

***– თამარ მაყაშვილს რა როლი აქვს თქვენს სპექტაკლში?***

– ის არის მეზღაპრე, დედა ბატი, შარლ პეროს ზღაპრების მეზღაპრეა. ვითომ დედა ბატი ყვება ამას ყველაფერს. სპექტაკლში არის მარიამ ალექსიძის ქორეოგრაფია, ანა კალატოზიშვილია მხატვარი და ფრანგი კომპოზიტორების მუსიკაა, XX საუკუნის 20-იანი წლების პრინციპში იმპრესიონისტების.

# ოპერის თეატრში დაპირისპირება გრძელდება

ეკა ირემაშვილი

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაპირისპირება გრძელდება. მისი თანამშრომლების ნაწილი განცხადებას ავრცელებს, რომელიც ჟურნალისტებს შავლეგ გეგეჭკორმა გააცნო:**

– თეატრს ჩამოშორდეს დღევანდელი მთავარი დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო; მის მიერ დანიშნული და ჩატარებული სამხატვრო საბჭოს არჩევნები გამოცხადდეს უკანონოდ; მინისტრის დაპირებისამებრ, უახლოეს დღეებში დაინიშნოს თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის პირდაპირი წესით არჩევნების ზუსტი თარიღი. სამხატვრო ხელმძღვანელის არჩევნებისას სრულად იქნას დაცული დემოკრატიული პრინციპები, მასში მონაწილეობის საშუალება მიეცეს ნებისმიერ მსურველს და ხმა თეატრის თითოეულმა თანამშრომელმა მისცეს! თუ ეს მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, მივმართავთ პროტესტის უკიდურეს ფორმებს.

მოგეხსენებათ, დღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი ნგრევის პირას არის მისული: თეატრის მმართველობა ხელში ჩაიგდო მთავარ დირიჟორად მოწვეულმა ჯანლუკა მარჩანომ და მის ირგვლივ შემოკრებილმა მცირე ჯგუფმა. მათ, ულტიმატუმის ენით, პრაქტიკულად მძევლად აიყვანეს კულტურის სამინისტრო და თეატრის ხელმძღვანელი იძულებული გახადეს დაეტოვებინა თანამდებობა. ბოლო დღეებში, თეატრში სამხატვრო საბჭოს წევრების არჩევნები საჯაროობის და სამართლიანობის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევით ჩატარდა, კერძოდ, არ არსებობს არჩევნების ჩატარების წინასწარ დამტკიცებული წესი და პირობები, დასის მნიშვნელოვან ნაწილს შეეზღუდა ხმის მიცემისა და არჩევნებში მონაწილეობის კანონიერი უფლებები. ამის გამო ეს არჩევნები სრულიად უკანონოა. გარდა ამისა, თეატრის სამხატვრო საბჭოში არ შეიყვანეს არცერთი დირიჟორი, ქორმაისტერი, მხატვარი, რეჟისორი, სადადგმო ნაწილის წარმომადგენელი, საბალეტო დასის ხელმძღვანელი, რაც თავისთავად აბსურდი, არაპროფესიონალიზმი და კანონის უხეში დარღვევაა. ეს ქმედებები აუცილებლად გასაჩივრდება! ჯანლუკა მარჩანოს უშუალო მითითებით დაიწყო ამ ჯგუფისთვის არასასურველი პირების სამსახურებრივი დევნა. სამსახურიდან დათხოვნის გაფრთხილება მიიღეს იმ ადამიანებმა, რომლებმაც თეატრში აღმოაჩინეს ათეული ათასი ლარის ფინანსური ზარალი, მოქმედი სპექტაკლების დეკორაციებისა და კოსტიუმების განადგურების ფაქტები.

ასევე დევნიან ადამიანებს, რომლებმაც გამოიყენეს გამოხატვის თავისუფლება, რაც ადამიანის ძირითადი ფუნდამენტური უფლებაა. ასეთი დევნის მაგალითი პირადად გახლავართ, გასულ კვირაში ჩატრებული ბრიფინგის შემდეგ მომივიდა შეტყობინება, რომ მათავისუფლებენ სამსხაურიდან, ცხადია, ესეც გასაჩივრდება. ჯგუფის საქმიანობა გამოირჩევა რადიკალური ინდივიდუალიზმით, რის შედეგადაც თეატრი გაიხლიჩა. საბალეტო დასი ცალკე აყალიბებს სამხატვრო საბჭოს. ერთ თეატრში ორი სამხატვრო საბჭოს არსებობა ნონსენსია. ეს ჯგუფი პირდაპირ და აქტიურად ერევა ადმინისტრაციულ საქმეებში. ჯანლუკა მარჩანო და ორკესტრის კონცერტმაისტერი წყვეტენ ფინანსურ და სამართლებრივ საკითხებს, რაც მათ კომპეტენციას და უფლებამოსილებას აღემატება. ჯანლუკა მარჩანო და ეს ჯგუფი სამსახურიდან დათხოვნის მუქარით ზეწოლას ახდებენ იმ თანამშრომლებზე, რომლებიც არ ეთანხმებიან მათ პოზიციას.

და რაც მთავარია, მარჩანომ თავისი პირადი გრაფიკიდან გამომდინარე, გაურკვეველი ვადით გადაიტანა ბიძინა ივანიშვილის მეცენატობით განახლებული სახელმწიფო თეატრის გახსნის თარიღი. წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის განახლებულ შენობაში სეზონის გახსნა უპერსპექტივოა! – ნათქვამია განცხადებაში, რომელიც საგანგებო პრესკონფერენციაზე შეკრებილ ჟურნალისტებს შავლეგ გეგეჭკორმა გააცნო.

**შავლეგ გეგეჭკორი, ჟურნალისტი:**

– ამის დასადასტურებლად გვაქვს დოკუმენტი, ეს არის ჯანლუკა მარჩანოს განრიგი, სადაც სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი ის იმყოფება ლონდონში. 27 სექტემბერს, 3, 17, 22, 28 ოქტომბერს, პირველ, 12, 14, 19, 21, 26, 28 ნოემბერს მას აქვს სპექტაკლები „ტრავიატა“ ლონდონის ერთ-ერთ პატარა ოპერაში. სწორედ ამ პერიოში უნდა გახსნილიყო თბილისის ოპერის თეატრი, რის გამოც ვერ გაიხსნება, რადგან ამ დროს მას თბილისის ოპერის თეატრისთვის არ სცალია. მას აქვს სტატუსი თბილისის ოპერის თეატრის მთავარი დირიჟორი, ამ სტატუსით დადის მთელ მსოფლიოში და პრაქტიკულად სპეკულირებს.

***– რა პრინციპით შედგა სამხატვრო საბჭო?***

– სამხატვრო საბჭო დაკომპლექტდა ასე: ვოკალისტების 4 წარმომადგენელი, გუნდის 4 წარმომადგენელი, ორკესტრის 4 წარმომადგენელი და თეატრის დირექტორი. 13 კაციანი სამხატვრო საბჭოა და ბალეტი არ არის ამ სამხატვრო საბჭოში, ვერ შეთანხმდნენ, საბალეტო დასის წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ მარჩანოს და ამ ჯგუფის მოთხოვნებს. არ არის სამხატვრო საბჭოში საბალეტო დასის წარმომადგენელი, არც თეატრის მთავარი მხატვარი, არც ერთი დირიჟორი, არც ერთი რეჟისორი, სადადგმო ნაწილის წარმომადგენელი, რაც აბსოლუტური აბსურდია. სამხატვრო საბჭომ უნდა განიხილოს სპექტაკლების დადგმის შესაძლებლობა, ყველა შემოქმედებითი საკითხი. თუ იქ არ იქნა რეჟისორი, მხატვარი, სადადგმო ნაწილის წარმომადგენელი, დირიჟორი, რა განხილვაზეა საუბარი, ვინ უნდა გადაწყვიტოს მაშინ ეს საკითხები? სულ არ ვაკნინებ იმ ადამიანებს, ვინც აირჩიეს, მაგრამ ვოკალისტებმა იციან მხოლოდ ვოკალისტების პრობლემები, ასევე გუნდმა იცის გუნდის პრობლემები და ორკესტრმა ორკესტრის პრობლემები, მაგრამ მოგეხსენებათ, ოპერაც და ბალეტიც კომპლექსური ხელოვნებაა, მათ ეს არ იციან და... ეს არ არის არავითარ შემთხვევაში მათი დაკნინება, უბრალოდ სამხატვრო საბჭო არაქმედუნარიანი იქნება. ეს კეთდება მხოლოდ იმიტომ რომ ამ ჯგუფმა ძალაუფლების უზურპაცია მოახდინოს საბოლოოდ.

***– რა იყო დაპირება?***

– დაპირება სხვა იყო, მაგრამ როცა ნახეს, რომ ეს მათ არ აძლევს ხელს და ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებენ ასეთ პირობებში, შეცვალეს მოთხოვნები.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ანტიგონე“ ილიაუნის თეატრშია

ეკა ირემაშვილი

14 და 16 თებერვალს ილიაუნის თეატრში მერიის კულტურული ღობისძიებების ცენტრისა და ილიაუნის თეატრის მორიგი ერთობლივი პრემიერა გაიმართება. ამჯერად, მაყურებელი იხილავს ჟან ანუის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პიესას „ანტიგონე“. სპექტაკლი ახალგაზრდა რეჟისორმა გაგა გოშაძემ განახორციელა.

ილიაუნის თეატრში სპეიცალურად ამ წარმოდგენისათვის მოწვეულნი იქნებიან მსახიობები გია როინიშვილი და თამთა ნავროზაშვილი. ნიშანდობლივია, რომ პროფესიონალი მსახიობების გვერდით, წარმოდგენაში მონაწილეობას ილიაუნის თეატრალური ცენტრის კურსდამთავრებულები მიიღებენ.

– 20 წლის გოგომ არჩევანი უნდა გააკეთოს: ან უღალატოს საკუთარ რწმენას, თავისუფლებას და როგორც კანონმორჩილმა მოქალაქემ, მშვიდად იცხოვროს; ან უერთგულოს თავის პრინციპებს, გაილაშქროს წესრიგის წინააღმდეგ და გასწიროს ყველაფერი – შეყვარებული, ოჯახი, სიცოცხლე... ან იქნებ არსებობს სხვაგვარი გამოსავალი: იქნებ შეიძლება დაარღვიო კანონი და გაპატიონ... თუ მეფის ქალიშვილი ხარ! როგორ ვუპასუხებთ დღეს ძველ საბერძნეთში სოფოკლეს მიერ დასმულ შეკითხვას, რომელიც ჟან ანუიმ 1943 წელს საფრანგეთში ხელახლა გააჟღერა: კანონის უზენაესობა თუ პიროვნების თავისუფლება? კრეონი თუ ანტიგონე? – აინტერესებს რეჟისორს.



**წლის და 9 თვის ელისაბედ დარჩიას სასწრაფოდ ესაჭიროება გადაუდებელი მკურნალობა საზღვარგარეთ, შესაძლოა დასჭირდეს განმეორებითი ოპერაციაც. გოგონა დაიბადა შინაგანი ჰიდროცეფალიის დიაგნოზით, ჩატარებული აქვს თავის ტვინის შუნტირება, რამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ელისაბედს ჰყავს სრულიად ჯანმრთელი ტყუპისცალი ძმა. უმორჩილესად გთხოვათ, თუნდაც მცირედით დავეხმაროთ პატარა ელისაბედს:**

**თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია „ლიბერთი ბანკის“ ანგარიშზე: GE95LB0711154286819 40**


## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

# გერმანელები საერთო ჩათვლაში გალიდერდნენ

სოჭის ოლიმპიადის გასულმა დღემ გერმანული დელეგაციის ჰეგემონიით ჩაიარა. ერიკ ფრენცელმა სამშობლოს ოქრო სათხილამურო ორჭიდში მოუტანა, ტობიას ვენდლი და ტობიას არლტი კი ორადგილიანი ციგებით შეჯიბრებაში გაჩემპიონდნენ.

შედეგად, გერმანიის ოლიმპიურმა ნაკრებმა თავი 6 უმაღლეს ჯილდოს მოუყარა და საერთო ჩათვლაში ერთპიროვნული ლიდერი შეიქმნა. 4-4 ოქრო აქვთ აქტივში კანადას, ნორვეგიასა და ჰოლანდიას, ხოლო აშშ და შვეიცარია თავს 3-3 ოქროს მედლით იწონებენ.

სამთო მოთხილამურე გოგონათა მეორე შეჯიბრება, სწრაფდაშვება, იშვიათი სცენარით წარიმართა და უცნაურად დასრულდა: ოქროს მედალი ორმა სპორტსმენმა გაინაწილა, შესაბამისად, ვერცხლი არ გათამაშდა და პოდიუმზე ორ გამარჯვებულთან ერთად ბრინჯაოსმედალოსანი დადგა.

სწრაფდაშვება სლოვენიელმა ტინა მაზემ და შვეიცარიელმა დომინიკ გიზინმა მოიგეს. დისტანცია ორივემ ერთნაირ დროში – 1:41.57 წუთში დაფარა. მესამეადგილოსანი, მეორე შვეიცარიელი სამთო-მოთხილამურე ლარა გუტი ჩემპიონებს 10 მეასედი წამით ჩამორჩა.

მიუხედავად იმისა, რომ ტინა მაზე გაცილებით ტიტულიანი სპორტსმენია, ვიდრე გიზინი, ოლიმპიური თამაშების ოქრო ორივემ პირველად მოიგო. ოთხი წლით ადრე ვანკუვერში მსოფლიოს თასის მოქმედმა მფლობელმა ტინა მაზემ ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა – სუპერგიგანტურ სლალომსა და გიგანტურ სლალომში.

ცნობისათვის: ტინა მაზემ სლოვენიას პირველი ოქროს მედალი მოუტანა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე. 2005, 2010, 2011 და 2013 წლებში სლოვენიის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ის ქვეყნის საუკეთესო ქალ სპორტსმენად დაასახელა.

მამაკაცებს შორის ციგურებით სირბილში უკვე მედლების სამი კომპლექტი გათამაშდა და ჰოლანდიის ნაკრებს ცხრიდან რვა (!) მედალი აქვს აღებული. წინ კიდევ 1500, 10000 მეტრი და გუნდური გამოდევნებაა.

მამაკაცებს შორის 1000-მეტრიანი დისტანციის წინ, ბევრი სპეციალისტი ფიქრობდა, რომ ამ დისტანციაზე არ უნდა ყოფილიყო ჰოლანდიელთა ულაპარაკო დომინირება. „ნარინჯისფერთა“ ბატონობა უნდა დაემხო ცნობილ ამერიკელს შენი დევისს, რომელსაც ისტორიაში შესვლის შანსი ჰქონდა – გამარჯვების შემთხვევაში დევისი პირველი მოციგურავე გახდებოდა, რომელსაც ერთი და იგივე დისციპლინა ზედიზედ სამჯერ ექნებოდა მოგებული.

მაგრამ ჰოლანდიის ნაკრები ასე არ ფიქრობდა. 32 წლის შტეფან გროოტჰუისს აქამდე არც ერთი ოლიმპიური მედალი არ ჰქონდა მოპოვებული და სწორედ სოჭში ჩაატარა კარიერაში საუკეთესო რბოლა. მან ოთხი მეასედი წამით აჯობა კანადელ დენი მორისონს, ხოლო მესამე ადგილი ასევე ჰოლანდიელმა მიხელ მიულდერმა მოიპოვა.

რუსეთის ოლიმპიურ ნაკრებს სოჭის ოლიმპიადაზე ოქროს ორი მედალი აქვს მოპოვებული და ორივე ფიგურულ სრიალში. თავდაპირველად, მასპინძლებმა გუნდური ასპარეზობა მოიგეს და ამაში დიდი წვლილი შეიტანეს ტატიანა ვოლოსოჟარმა და მაქსიმ ტრანკოვმა. შემდეგ კი მათ სპორტულ წყვილებშიც იმარჯვეს და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ.

ცნობილია, რომ ფიგურულ სრიალში ფავორიტები ყოველთვის ამართლებენ წინასწარ მინიჭებულ სტატუსს. ასე მოხდა ამჯერადაც. თითქმის ყველა წინასწარ ანიჭებდა უპირატესობას რუსულ დუეტს და მათაც უპრობლემოდ მოიპოვეს ოქროს მედლები.

ვოლოსოჟარი და ტრანკოვი ამ მომენტამდე ოთხი წელი მიდიოდნენ. 2010 წელს მათ წინა პარტნიორები მიატოვეს და საკუთარი წყვილი შექმნეს. იქიდან მოყოლებული, დღემდე ყოველთვის ძლიერი გამოსვლით ამახსოვრებდნენ თავს ფიგურული სრიალის მოყვარულებს.

სოჭის ოლიმპიადაზე ყველაზე საინტერესო დაიწყო – ჰოკეის ტურნირი მამაკაცებს შორის. პირველი ტურის მატჩები ჩაატარეს ც ჯგუფის ბინადრებმა და პირველივე დღეს ცენტრალური შეხვედრა ვნახეთ – შვედეთი ჩეხეთის წინააღმდეგ.

ამ მატჩის ორ ნაწილად გაყოფა შეიძლება. თავიდან პერიოდ-ნახევარი ყინულზე შვედეთი დომინირებდა და პირველ ორ პერიოდში ორ-ორი შაიბა გაიტანა. ჩეხები ძალიან სუსტად გამოიყურებოდნენ დაცვაში, ხოლო მათი მეკარის, კოვარჟის თამაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა.

მესამე გაშვებული შაიბის შემდეგ მან კარის დაცვა სალაკს გადაულოცა, მაგრამ სამი წუთის თავზე ამ მეკარესაც მოუწია შაიბის გაშვება და ერის კარლსონის ძლიერი დარტყმის შემდეგ ანგარიში 4:0 გახდა.

როგორც ჩანს, შვედებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და ინიციატივა მეტოქეს გადააბარეს. ჩეხების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი დროზე მოვიდნენ გონს, გაცილებით აგრესიულად ათამაშდნენ და მეორე პერიოდშივე, ორი წუთის ინტერვალით ორი შაიბა გაიტანეს.

მესამე პერიოდში შვედებს, ძირითადად, თავის დაცვა უწევდათ, რადგან მათ რიგებში ბევრი იყო გაძევება. საბოლოოდ, ჩეხებმა დარტყმების რაოდენობით აჯობეს მეტოქეს, მაგრამ მესამე პერიოდში ჰენრიკ ლუნდკვისტის კარი ვერ აიღეს და 2:4 დამარცხდნენ.

რაც შეეხება დღის მეორე მატჩს: შვეიცარია 59 წუთისა და 52 წამის განმავლობაში ვერ ახერხებდა ლატვიის ნაკრების მეკარის, ედგარას მასალსკისის კარის აღებას, მაგრამ სირენამდე რვა წამით ადრე მოზერის ზუსტი დარტყმით აიცილა თავიდან ოვერტაიმის თამაში.

**საერთო ჩათვლა:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.გერმანია | 6 | 1 | 1 | 8 |
| 2.კანადა | 4 | 4 | 2 | 10 |
| 3.ნორვეგია | 4 | 3 | 5 | 12 |
| 4.ჰოლანდია | 4 | 2 | 4 | 10 |
| 5.აშშ | 3 | 1 | 5 | 9 |
| 6.შვეიცარია | 3 | 0 | 1 | 4 |
| 7.რუსეთი | 2 | 4 | 3 | 9 |
| 8.ავსტრია | 1 | 4 | 0 | 5 |
| 9.სლოვენია | 1 | 1 | 2 | 4 |
| 10.საფრანგეთი | 1 | 0 | 2 | 3 |
| 11.ბელარუსი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 12.პოლონეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 13.სლოვაკეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 14.სამხრეთ კორეა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 15.შვედეთი | 0 | 3 | 1 | 4 |
| 16.ჩეხეთი | 0 | 2 | 1 | 3 |
| 17.იაპონია | 0 | 2 | 1 | 3 |
| 18.იტალია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 19.ჩინეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 20.ფინეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 21.ავსტრალია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 22.ლატვია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 23.დიდი ბრიტანეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 24.უკრაინა | 0 | 0 | 1 | 1 |

# ქართული კავშირი სარაგოსაში



გასულ კვირაში ქართველების წინამძღოლობით „სარაგოსა“ ესპანეთის თასის ნახევარფინალში გავიდა. სარაგოსელები რომ თასის გათამაშებაში მოხვდნენ, ესეც ქართველების დამსახურება იყო, რომელთა შედეგიანი თამაშით არაგონული გუნდი პრიმერადივიზიონის საუკეთესო 8 გუნდში მოხვდა.

ესპანეთის ქალაქ მალაგაში ჩემპიონატის საუკეთესო 8 გუნდი შეგროვდა, რომლებიც მეოთხედფინალში დაწყვილდნენ. „სარაგოსამ“ პირველ რაუნდში მასპინძელთა გუნდი „უნიკახა“ დაამარცხა. ამ ფაქტს გამოეხმაურა ფიბა-ევროპის ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელმაც „სარაგოსას“ ერთ-ერთ ლიდერ ვიქტორ სანიკიძეზე სტატია გამოაქვეყნა, რომელიც შემდეგნაირადაა დასათაურებული:

ქართული კავშირი სარაგოსაში

იტალიურ „სიენასა“ და „ვირტუსში“ გატარებული რამდენიმე სეზონის შემდეგ სანიკიძე ესპანეთის ჩემპიონატს დაუბრუნდა. ქართველი ფორვარდი „სარაგოსას“ ღირსებას წარმატებულად იცავს როგორც ესპანეთის პრიმერადივიზიონში, ისე ევროთასის გათამაშებაში.

ქართველ ფორვარდ ვიქტორ სანიკიძეს ევროპის ხუთ ქვეყანაში უთამაშია და ერთი წელი აშშ-შიც აქვს გატარებული. საინტერესოა, მომავალში როდესაც იგი კარიერას დაასრულებს, სად აპირებს ცხოვრების გაგრძელებას? ამ კითხვაზე სანიკიძეს სწრაფი პასუხი აქვს.

– რასაკვირველია, საქართველოში. ამას დიდი ფიქრი არ სჭირდება. თბილისში დავბრუნდები, სადაც ჩემი ოჯახი და მეგობრები არიან. მათ გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. მართალია, ჯერ დაოჯახებული არ ვარ, თუმცა, შემიძლია, გარანტირებულად გითხრათ, რომ ჩემს მშობლიურ მხარეს დავუბრუნდები, – ამბობს სანიკიძე.

სანიკიძე ესპანეთში 2006 წელს თამაშობდა, როცა ისტორიული გუნდის, მადრიდის „ესტუდიანტესის“ ღირსებას იცავდა, თუმცა „სამეფო თასზე“ თამაშის უფლება მხოლოდ წლეულს, „სარაგოსაში“ მიეცა.

– ახლა სულ სხვა გამოცდილებით ვთამაშობ ესპანეთში. ნამდვილად არ ველოდი, თუ თასი ემოციურად ასე დატვირთული იქნებოდა. იტალიაში თასზე თამაშზე ასეთი მუხტი არ ჰქონია. ძალიან გახარებული ვარ, რომ მომიწია ესპანეთის „სამეფო თასზე“ თამაში. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ნახევარფინალში გავედით, რასაც არავინ არ ელოდა, – ასეთია სანიკიძის შეხედულება.

როგორც უკვე გითხარით, „სარაგოსამ“ მეოთხედფინალში 79:74 დაამარცხა თასის გათამაშების მასპინძელი „უნიკახა“. ამ მატჩში სანიკიძემ 12 ქულადა 8 მოხსნა მიითვალა. სარაგოსელები ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც მომავალ ჩემპიონ „რეალთან“ დამარცხდნენ.

– „რეალის წინააღმდეგ თამაში ჩვენთვის ძალიან რთული გამოდგა. ესაა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, რომელსაც არაერთი უმაღლესი კლასის კალათბურთელი ჰყავს. ყველაფერ ამის გათვალისწინებით მადრიდელების წინააღმდეგ თამაში არ გამოგვივიდა, – იხსენებს სანიკიძე.

ათლეტური აღნაგობის ქართველი, რომელსაც ერთნაირი წარმატებით შეუძლია როგორც მძიმე, ისე მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზე თამაში, ასევე აქვს მოხსნის, შორი და ახლო სროლების, დაფარებების და სწრაფი გარღვევების ალღო, აპრილში 28 წლის ხდება. ამბობენ, რომ სანიკიძე ახლა კარიერის პიკშია, რაზეც მოთამაშე გვპასუხობს:

– არ ვიცი, ძნელი სათქმელია. მხოლოდ იმას ვცდილობ, გავიღო ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი, რათა ჩვენმა გუნდმა სეზონში მაქსიმუმს მიაღწიოს. ვნახოთ, რამდენად კარგ შედეგებს ვაჩვენებთ. ახლა მხოლოდ ამაზე ვფიქრობ. თუკი შედეგებს მივაღწევთ და ამაში ჩემი წვლილიც იქნება, მაგ კითხვაზე მერე გიპასუხებთ.

გულშემატკივართა სასიხარულოდ, ის დრო, როდესაც ვიქტორი კალათბურთის თამაშს თავს დაანებებს, საკმაოდ შორს გახლავთ, მანამდე კი ქართველი კალათბურთელის წინ არაერთი გამოწვევაა.

მათგან ერთ-ერთი უპირველესი 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი იქნება, რომელიც აგვისტოში ჩატარდება, საქართველოს ეროვნული ნაკრები კი ჯგუფში ჩეხეთთან, პორტუგალიასთან და უნგრეთთან ერთად ითამაშებს.

– წილისყრას დიდი ინტერესით ველოდებოდით და მოხარულნი ვართ, რადგანაც საკმაოდ კარგ ჯგუფში მოვხვდით, საიდანაც გასვლის ჩინებული შანსი გვაქვს. ვფიქრობ, ფავორიტები ვართ, რადგანაც იმ გუნდებს შორის, რომლებიც წილისყრაში მონაწილეობდნენ, ჩვენ ერთ-ერთი საუკეთესონი ვიყავით. ამგვარად, დარწმუნებული ვარ, ევრობასკეტზე ზედიზედ მესამედ ვითამაშებთ.

ცხადია, საქართველოსთვის უმთავრესი ჩეხეთის ნაკრებთან მატჩი იქნება, რომელთანაც გასული ევრობასკეტზე მწარე მარცხი (79:95) განიცადა. ეს, ჩეხებისთვის ბოლო წლებში მოპოვებული ერთ-ერთი სასახელო გამარჯვება გახლდათ, სანიკიძეს და მის თანაგუნდელებს კი აღნიშნულმა წაგებამ ევროპის ჩემპიონატის მე-2 რაუნდში გასვლის იმედი გადაუწურა.

– დიახ, ჩეხეთი მთავარი მოწინააღმდეგე იქნება. მათ სლოვენიაში მოგვიგეს და ეს მწარედ გვახსოვს. 10 აგვისტოს, მათ შესარჩევი ციკლის პირველივე მატჩში შინ ვეთამაშებით და ეს ძალიან მნიშვნელოვანი თამაში იქნება. ჩვენ რევანშისთვის ვემზადებით, – აქედანვე გეგმავს რევანშს ქართველი კალათბურთელი.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის ევროპის ჩემპიონატამდე საქართველოს ნაკრების მთავარი მიზანი ელიტარულ გუნდებს შორის დამკვიდრება გახლდათ და ამისთვის, გუნდმა დიდი გზა განვლო. ქართველებმა ხომ მათთვის სადებიუტო ევრობასკეტზე 2011 წელს ლიტვაში ითამაშეს.

ახლა, კი სხვა სიტუაციაა. სანიკიძეს შესარჩევი ციკლის დაძლევაში ეჭვი არ ეპარება და უკვე იმაზე ფიქრობს, რისი მიღწევა შეუძლია ნაკრებს უშუალოდ ფინალურ ეტაპზე, სადაც გუნდთან ერთად კაპიტანი ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელიაც უნდა იყვნენ.

– გასულ ევროპის ჩემპიონატზე ტრავმების გამო ძალიან დავიჩაგრეთ. იმედი მაქვს, რომ ახლა ყველა მწყობრში იქნება და თამაშს მოახერხებს. ჩვენ საუკეთესო მეგობრები ვართ და ფაჩულიასთან და შენგელიასთან საუბრისას ერთ რამეზე ვთანხმდებით – წარმატების დიდი შანსი გვაქვს. ცხადია, ეს იოლი არ იქნება, თუმცა, თუკი სრული შემადგენლობით ვითამაშებთ, საკმაოდ ძლიერი გუნდი ვიქნებით, რომელსაც ევროპის ჩემპიონატზე პირველი ჯგუფური ეტაპის დაძლევაც შეეძლება. მთავარია, ყველანი ჯანმრთელად ვიყოთ და კარგი შედეგები არ დაახანებს, – იმედიანადაა სანიკიძე.

სხვა საქმეა, რომ ქართველ კალათბურთელებს წარმატებისთვის ბრძოლა ახალ მწვრთნელთან ერთად მოუწევთ. დიდი ალბათობით, საქართველოს ნაკრებთან ერთად აღარ იმუშავებს სერბი სპეციალისტი იგორ კოკოშკოვი, რომელმაც გუნდი მიჯრით ორ ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანა.

– ეს საკითხი ჩემთვისაც ძალიან საინტერესოა. ნამდვილად არ ვიცი, ახალი მწვრთნელი ვინ იქნება, ამდენად, ამ თემაზე საუბარი მიჭირს. ერთიცაა, ნაკრებში მოთამაშეების ძირითადი ჯგუფი ექვსი-შვიდი წელია, ერთად მოვდივართ. ერთმანეთის ფაქტობრივად უსიტყვოდ გვესმის, რამაც ახალ დამრიგებელს მუშაობა საგრძნობლად უნდა გაუადვილოს. ამასთან, მინდა, იგორ კოკოშკოვის წვლილიც აღვნიშნო. მან ნაკრები ზედიზედ ორ ევრობასკეტზე გაიყვანა და ქართველი ხალხი მის მიერ შესრულებული სამუშაოს გამო მადლიერი უნდა იყოს, – არ უკარგავს დამსახურებას ვიკა მწვრთნელს.

სანიკიძე არ იშურებს სანაქებო სიტყვებს „სარაგოსას“ მეორე ქართველ კალათბურთელ გიორგი შერმადინზე, რომელიც მიმდინარე სეზონში მაღალ დონეზე თამაშობს.

– ის შესანიშნავად თამაშობს და გუნდისთვის უდიდეს სამუშაოს ასრულებს. მას ადრე არ უწევდა საკმარისი დროით თამაში, ახლა კი მოედანზე საშუალოდ 25 წუთს ატარებს და ესაა, რაც მას ყველაზე მეტად სჭირდება. დარწმუნებული ვარ, მას დიდი მომავალი აქვს, – აქებს შერმადინს სანიკიძე.

# საქართველო უკან იხევს

გუშინ გამოქვეყნებულ ფიფა/კოკა-კოლას ახალ რეიტინგში საქართველოს ნაკრებს 103-ე ადგილი უკავია. როგორც ხედავთ, ჩვენი ნაკრები კვლავ ასეულს მიღმა დარჩა და წინა რეიტინგის შემდეგ ერთი ადგილითაც დაქვეითდა.

საქართველოს ნაკრებს, რომელსაც 325 ქულა აქვს, ამჯერად ლიტვის ეროვნულმა ნაკრებმა გადაუსწრო (102-ე ადგილი 326 ქულა).

საუკეთესო ათეულში კი მცირე ცვლილებებია. პირველის სამ ადგილს, შესაბამისად, ესპანეთის, გერმანიისა და არგენტინის ეროვნული ნაკრებები იკავებენ. ერთი ადგილით წაიწია პორტუგალიამ და მეოთხე ადგილი კოლუმბიელებს მეხუთეში გაუცვალა.

ორი ადგილით წაიწია შვეიცარიის ნაკრებმა, რამაც ურუგვაის, იტალიისა და ჰოლანდიის ეროვნული გუნდები თითო ადგილით დააქვეითა, თუმცა მათ ათეულში ადგილი არ დაუკარგავთ. მეცხრე ადგილზე არიან ბრაზილიელები.

აღსანიშნავია საქართველოს მეზობელი ქვეყნის, სომხეთის ნაკრების პროგრესი, რომელიც 771 ქულით 30-ე ადგილზეა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# შუმახერის ახალი პრობლემა



გერმანულ მედიაში მიხაელ შუმახერის შესახებ ახალი არასასიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა. როგორც იცით, 45 წლის ლეგენდარული მრბოლელი თხილამურებით სრიალისას დაცემის შემდეგ კომაშია. გრენობლის კლინიკის ექიმებმა მისი ხელოვნური კომიდან გამოყვანის პროცესი 20 დღის წინ დაიწყეს და ნარკოზს ნელ-ნელა უმცირებენ.

მართალია, შუმახერის პირადი პრესმდივანი საბინე კერნი მედიასთან რაიმე კომენტარის გაკეთებაზე უარს აცხადებს, თუმცა, როგორც გაირკვა, წინა კვირაში შუმის ფილტვების ანთება დაეწყო. ცნობა ოფიციალურად არ დადასტურებულა, მაგრამ გერმანელი კოლეგები ჯიუტად წერენ ამის თაობაზე. მათი მტკიცებით, შუმის ძლიერი ანტიბიოტიკებით მკურნალობენ. შეწყდა თუ არა ამის გამო მიხაელის ხელოვნური კომიდან გამოყვანის პროცესი, ამის შესახებ არაფერია ცნობილი.

ექსპერტების განცხადებით, კომაში მყოფი ადამიანისთვის ფილტვების ანთება საკმაოდ სახიფათოა. ინტენსიური თერაპიის ქვეშ მყოფი პაციენტის იმუნური სისტემა განსაკუთრებით დასუსტებულია, რის გამოც ფილტვების ანთებამ, ცუდ შემთხვევაში, შესაძლოა, სხვადასხვა ორგანოების ფუნქციონირების შეწყვეტა გამოიწვიოს, რაც სიცოცხლისთვის სახიფათო იქნება.

# თბილისში ჯაზსერიები იწყება

ეკა ირემაშვილი




14 თებერვალს თბილისში ტრადიციული ჯაზსერიები იწყება. კონცერტები, რომელიც ყოველი თვის შუა რიცხვებში კომპანია „ისთერნ პრომოუშენის“ ორგანიზებით ტარდება, მსოფლიოში ცნობილ ჯაზშემსრულებლებს აერთიანებს.

პირველი კონცერტი თბილისის ივენთ ჰოლში სწორედ 14 თებერვალს არის ჩანიშნული და მასში მონაწილეობას მსოფლიო ვიბრაფონისტების ათეულში შესული ჯო ლოკი მიიღებს, რომელიც ჯაზში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ვიბრაფონისტია. ხელოვანი თბილისს თავის ბენდთან და სპეციალურ სტუმართან კენი ვაშინგტონთან ერთად ეწვევა. ჯო ლოკი პიანისტ დადო მორონისთან, დრამერ ერნესტო სიმპსონთან, ბასისტ დერილ ჰოლთან და კენი ვაშინგტონთან ერთად თბილისს ევროპული ტურნეს ფარგლებში ეწვევა. ლოკი საქართველოში ჩამოდის ახალ კვარტეტთან ერთად, რომელიც სპეციალურად ამ ტურნესთვის შეკრიბა, ასე რომ შედგება პრემიერა ამ ჯგუფით და ასევე ლოკის ახალი ალბომის პრეზენტაცია.

მეორე კონცერტი ჯაზსერიების ეგიდით 13 მარტს არის ჩანიშნული. ამჯერად თბილისში პანამელი ვირტუოზი პიანისტი დანილო ფერეზი ასევე ბენდთან ეთრად ჩამოვა. ბენ სთრითი, ადამ კრუზი, რონი ეტანი – ეს ის მუსიკოსები არიან, რომლებიც მარტის თვეში ჯაზსერიების რიგით მეორე კონცერტზე მსმენელს საათნახევრის განმავლობაში ფუჟენისა და ფოლკის ნაზავს შესთავაზებენ. გარდა იმისა, რომ დანილო ფერეზი ძალიან ცნობილი და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნოვატორი მუსიკოსია, ის იუნესკოს კეთილი ნების ელჩიცაა და მთელ მსოფლიოში ეწევა ჯაზისა და დემოკრატიის პროპაგანდას. პარალელურად პიანისტი ბერკლის საერთაშორისო ჯაზ ინსტიტუტის პრორექტორია.

მესამე კონცერტს ორგანიზატორები 27 აპრილს წარმოადგენენ ამ დღეს ჯაზის მოყვარულებისთვის ცნობილი ბასგიტარისტი ვიქტორ ვუტენის ბენდი დაუკრავს. ის არის გრემის ხუთგზის მფლობელი მუსიკოსი, რომელიც 5 წლიდან უკრავს. მას მოიხსენიებენ, როგორც ყველაზე ნოვატორ ბასგიტარისტს ჯაკო პასტორიუსის შემდეგ. გასულ წელს ვიქტორ ვუტენი, მაიკ სტერნთან ერთად იყო ბათუმის ჯაზ ფესტივალზე, ამჯერად ის ჩამოდის თავის ბენდთან ერთად, სადაც ის თვითონ იქნება ლიდერი.

საკონცერტო სერიის დასკვნითი კონცერტი 17 მაისს გაიმართება. სპეციალურად ქართველი მსმენელისათვის ივენთ ჰოლში კონცერტს ტერენს ბლანშარდის კვინტეტი დაუკრავს. ეს არის აკუსტიკური ჯაზის შემსრულებელი ძალიან ცნობილი ჯაზ მუსიკოსი. წერს კინომუსიკას ძალიან ცნობილი რეჟისორებისათვის. არის რამდენიმე მუსიკალური ჯილდოს, მათ შორის გრემისა და ემის მფლობელი.

# ოპერის თეატრში დაპირისპირება გრძელდება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

***– თუ თქვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა?***

– ამას შემდგომში გადაწყვეტთ, თუმცა ამაზე ჩვენ არ გავჩერდებით.

***– ვინ არიან ჯანლუკა მარჩანოს ჯგუფში?***

– ამ ეტაპზე თავს შევიკავებდი ამ ადამიანების დასახელებისგან. მათი დასახელება არ არის საჭირო, მგონია, რომ ყველამ იცის ვინც არიან ისინი. ჩვენ გვსურს შევხდეთ კულტურის მინისტრს და გავესაუროთ ამ თემებზე. დამადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ბატონი მარჩანოს ჩანაწერები, სადაც სრულიად აშკარად ჩანს მისი არაპროფესიონალიზმი. ამას მუსიკოსების ნათქვამს ვიმეორებ, თვითონ მუსიკოსი არ ვარ და არ მაქვს უფლება პროფესიულად შევაფასო, როგორც მსმენელს კი, მაგრამ როგორც პროფესიონალს – არა.

**მზია ნიორაძე, მეცოსოპრანო:**

– რაც დღეს ხდება თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ყოვლად წარმოუდგენელია. 2007 წელს ჩამოვედი საქველმოქმედო სპექტაკლი უნდა ჩატარებულიყო „ტრუბადური“. დასი იყო გაყოფილი ორ ნაწილად, ჩვენიანები და არაჩვენიანები. იმ არაჩვენიანებში მოვხვდი და ამიტომ მომხსნეს სპექტაკლიდან. ამაზე ყველანაირი წყენა დამთავრდა და დავივიწყოთ. 2008 წლის შემდეგ თბილისიდან დავდივარ ყველგან გასტროლებზე, მთელ მსოფლიოში მაქვს მიწვევები. ხშირად ვიმყოფები თბილისში, ჩემი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი საქართველოშია. გახლდით საფრანგეთში და ჩამოვფრინდი სპეციალურად საქართველოში, რომ დავსწრებოდი ამ შესრულებას. ამ ადამიანებს აქვთ ძალიან დიდი წარმოდგენა თავის თავზე. მეტი თუ არა, ნაკლებად არ თვლიან თავს კალასზე, დომინგოზე, ტოსკანინი ჰგონია თავისი თავი ჯანლუკა მარჩანოს. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ბატონ ჯანლუკას პროფესიონალ დირიჟორად იქ არავინ იცნობს, ძალიან ბევრს შევეკითხე. ის არის რეპეტიტორ კონცერტმეისტერი. ბატონი ჯანლუკა მოისმენს ჩემს განცხადებას და ვითხოვ პასუხს, რატომ უნდა იყოს საქართველოში, სადაც ზაქარია ფალიაშვილი, ევგენი მიქელაძე, ოდისეი დიმიტრიადი, ჯანო კახიძე გვყავდა, მარჩანო ჭკუის მასწავლებელი. კი ბატონო, პროფესიონალს ყველას კარს გავუღებთ და მივესალმებით, მაგრამ კონცერტმეისტერი... მე ვარ მომღერალი, იცით, დირიჟორობა რომ დაიწყო დომინგომ? მეც მომეცით ოპერის თეატრის ორკესტრი 3 წლით და მეც გაჩვენებთ როგორი ვიდირიჟორებ.

# თეა წულუკიანი: შევქმენით მექანიზმი, რომელიც ყველა მომდევნო არჩევნების დემოკრატიულ გარემოში ჩატარებას უზრუნველყოფს“



იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, დღეს „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის“ უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის ანგარიში წარადგინა. მინისტრის განცხადებით, უწყებათაშორისმა კომისიამ შექმნა ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც არამარტო საპრეზიდენტო, არამედ ყველა შემდგომ არჩევნებზე ყველა მომდევნო ხელისუფლებას გამოადგება.

„თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ შეიმუშავა წინასაარჩევნო და საარჩევნო პერიოდში საჯარო მოხელეების ქცევის ინსტრუქცია, რომელიც ყველა სამინისტრომ სავალდებულო დოკუმენტად აქცია. ყველა საჯარო უწყებაში, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, უკვე არსებობს საჯარო მოხელეთა ქცევის წესები საარჩევნო და წინასაარჩევნო პერიოდში. იმჟამინდელმა შს მინისტრმა და დღევანდელმა პრემიერმა კი, ეს ინსტრუქცია ბრძანების ხარისხში აიყვანა“– განაცხადა თეა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უწყებათაშორისი კომისიის ცხელ ხაზზე ძალადობასთან დაკავშირებით არცერთი ზარი არ შემოსულა.

თეა წულუკიანმა უწყებათაშორისი კომისიის მუშაობაში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ასევე, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებს.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიშის პრეზენტაცია სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის სამინისტროს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების, საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

**ნიუსპრესი**

დასაწყისი მე-12 გვერდზე

# პაატა ბურჭულაძეს ხელის ანაბეჭდი გაუხსნეს




– პაატა ბურჭულაძე ჩვენთვის განსაკუთრებული ხელოვანია. ამასთანავე ის განსაკუთრებული ადამიანიცაა, მას საქართველოში ფონდი „იავნანა“ აქვს დაარსებული და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს ეხმარება. რაც შეეხება ჯილდოს, ამ ჯილდოს ხელოვანები ავსტრიაში იშვიათად იღებენ, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში. შემთხვევითი არ არის ის, რომ ეს ჯილდო პაატა ბურჭულაძეს არა ავსტრიაში, არამედ თავის სამშობლოში გადმოეცა, – განაცხადა ავსტრიის თეატრების ჰოლდინგის გენერალურმა დირექტორმა გეორგ შპინგერმა.

როგორც კულტურის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ითქვა, ცნობილ მუსიკოსთა შორის აღნიშნული ეს ჯილდო მიღებული აქვთ ფრენკ სინატრასა და ჰერბერტ ფონ კარაიანს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ კი იუბილარ მომღერალს ქართული კულტურის უმაღლესი ჯილდო „ხელოვნების ქურუმი“ გადასცა. საზეიმო ცერემონიალს ცნობილი ხელოვანები და მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კულტურის სამინისტროდან სტუმრებმა უკვე საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გადაინაცვლეს, სადაც „მრავალჟამიერის“ ფონზე პაატა ბურჭულაძის ანაბეჭდი გაიხსნა.

პაატა ბურჭულაძეს დაბადების დღე საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშილმაც მიულოცა:

– დაბადების დღეს ვულოცავ მსოფლიო ბანს – პაატა ბურჭულაძეს. ჩვენთვის ძალიან საამაყოა, რომ ჩვენი თანამემამულე, პაატა ბურჭულაძე მსოფლიო ვარსკვლავებს შორის ერთ-ერთია. პაატა ბურჭულაძის შემოქმედება მსოფლიოს საკუთრებად იქცა. ძალიან დიდია მისი როლი თანამედროვე საოპერო ხელოვნების განვითარებაში. კიდევ ერთხელ ვულოცავ ბატონ პაატას დაბადების დღე და ვუსურვებ შემოქმედებით წარმატებებს, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, წელს იუბილარია პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსებული საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „იავნანაც“, მას დაარსებიდან 10 წელი 3 მარტს უსრულდება. ამ იუბილესთან დაკავშირებით, 27 თებერვლიდან 3 მარტამდე საქველმოქმედო მარათონში ჩაერთვებიან საქართველოს თეატრები, მათ შორის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრი. 28 თებერვალს თეატრის მცირე სცენაზე წარმოდგენილი იქნება გიორგი ნახუცრიშვილის „ნაცარქექია“. დამდგმელი რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. სპექტაკლს გლდანულას მიუსაფარ ბავშვთა სახლის აღსაზრდელები დაესწრებიან.



პაატა ბურჭულაძე, საოპერო მომღერალი:

– ჩემთვის ძალიან ამაღელვებელი დღე აღმოჩნდა წლევანდელი ჩემი დაბადების დღე, ავსტრიიდან ჩამოვიდა ჯილდო, კულტურის სამინისტროში მივიღე ჯილდო და უდიდესი პატივია, რომ ხელის ანაბეჭდები გაიხსნა იქ, სადაც კახი კავსაძის, გივი ბერიკაშვილის, ოთარ მეღვინეთუხუცესს, ელდარ შენგელაიას ხელის ანაბეჭდებია. მადლობა ყველას, ვინც ამის ღირსად ჩამთვალა და მადლობა ყველას, ვინც ჩემთან ერთად გაიზიარა ეს ჩემი დიდი სიხარული.




## კროსვორდი

**შვეულად**: 1. რაიმეს გარდაქმნა, შეცვლა; 2. მგზავრთა გადაყვანა, ტვირთის გადაზიდვა შუალედური პუნქტის გავლით; 3. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 5. მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო მანქანა; 7. პოლონელი კომპოზიტორი, დიპლომატი; 9. სტადიონი კარდიფში; 13. ხვიარა მცენარეებით გამწვანებული ფანჩატური პარკებში; 15. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 16. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 19. ნავსადგური ისრაელში.

**თარაზულად**: 4. ტურისტთა, მოგზაურთა გზამკვლევი-ცნობარი; 6. ფრანგული ლიქიორი; 8. მდინარეების შემსწავლელი ჰიდროლოგიის ნაწილი; 10. ტბა ჯავახეთში; 11. ზღვის სიღრმის გასაზომი ხელსაწყო; 12. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; 14. ფირმის, ორგანიზაციის კანტორა; 17. კათოლიკე მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში; 19. პოეტური ქმნილება; 20. ჰუსართა მუნდირი; 21. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 22. საფოსტო გზავნილება; 23. უკრაინული ფარმაცევტული ფირმა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჯოკერი; 2. წერო; 3. ინდონეზია; 4. ლოლუა; 5. დესპანი; 8. ლუგელა; 9. კალანდაძე; 12. ლაგამი; 14. ნამაზი; 16. ამადუ.

**თარაზულად:** 1. ჯვრისწერა; 3. ანტიგონე; 7. კუპლეტი; 9. კორომი; 10. ბანა; 11. ვექსილი; 13. ყანწი; 15. ბატიკა; 17. ხაშლამა; 18. კახასა; 19. გრიზლი; 20. ლუტეცია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. იოგურტი; 2. იტალიანა; 3. ეტიკეტი; 5. ნეისმიტი; 7. პოდესტა; 9. ჰიპოლოგია; 13. თალმუდი; 15. პამირი; 16. ბარონი; 18. ბრერა.

**თარაზულად**: 4. ჰოლკნერი; 6. ესტაფეტა; 8. კულტივატორი; 10. ოპერეტა; 11. პეტი; 12. სტანიცა; 14. შპიცი; 17. ვოლგა; 19. ამება; 20. მონპელიე; 21. ალჩუ; 22. სიურპრიზი; 23. შავთელი.

# იანუკოვიჩი პარლამენტის დაშლას აპირებს?

## სახელისუფლებო კულუარებში ტიმოშენკოს გათავისუფლებაზე საუბრობენ

**— ვიქტორ იანუკოვიჩი პარლამენტის დაშლას აპირებს. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სათანადო განკარგულება უკვე დევს. მას მხოლოდ იანუკოვიჩის ხელმოწერაღა აკლია, — განაცხადა ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ვიტალი კლიჩკომ.**
**აღნიშნულმა ინფორმაციამ როგორც უკრაინაში, ისე მის ფარგლებს გარეთ მორიგი აჟიოტაჟი გამოიწვია. ექსპერტები კვლავ ძალისმიერი სცენარის საფრთხეზე ალაპარაკდნენ.**

### რატომ სურს იანუკოვიჩს პარლამენტის დაშლა?

მასობრივმა საპროტესტო აქციებმა უკრაინაში მდგომარეობა ძირეულად შეცვალა. გადადგა პრემიერი აზაროვი, ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი როგორც დასავლეთ, ასევე ცენტრალურ და რიგ აღმოსავლეთ რეგიონზეც (სუმი ჩერნიგოვი). მმართველ პარტიაში წარმოიქმნა ჯგუფი, რომელიც მზადაა, ოპოზიციასთან ითანამშრომლოს. დეპუტატ დავით ჟვანიას ცნობით, უკვე არსებობს 232 დეპუტატის ხელმოწერა, რათა 2004 წლის კონსტიტუცია აღდგეს.

— თუკი ეს განხორციელდება, იანუკოვიჩი, ფაქტობრივად, უფლებების გარეშე დარჩება, — თვლის დეპუტატი-რეგიონალი ცარიოვი.

ვინ გახდება ახალი პრემიერი? — ეს კითხვა სულ უფრო აქტუალური ხდება. კრემლი იანუკოვიჩს ნათლად აგრძნობინებს, რომ თუკი აზაროვს მოსკოვისათვის სასურველი კანდიდატურა არ შეცვლის, უკრაინას დაპირებული ტრანში შეუწყდება. პარალელურად, შესაძლოა, გაზის მიწოდებასთან დაკავშირებითაც პრობლემები წარმოიქმნას, აკი „გაზპრომმა“ ნათლად და გარკვევით განაცხადა, ჩვენდამი ვალმა უკვე სამ მილიარდს გადააჭარბაო. „გაზპრომი“ თანახმაა, რომ ამ ვალის კომპენსაცია უკრაინის გაზგამანაწილებელი სისტემის ან „ნაფტოგაზის“ საშუალებით მოხდეს.

— ახალმა პრემიერმაც სწორედ ეს უნდა უზრუნველყოს და მთელი უკრაინული ენერგეტიკა რუსეთს გადასცეს. ამ შემთხვევაში იანუკოვიჩი დაპირებულ მხარდაჭერას მიიღებს, — თვლის ექსპერტი ტერიოჰინი.

ვიქტორ ფიოდოროვიჩიც თანახმაა, რუსეთთან „კომპრომისებზე“ წავიდეს. ამიტომაც დეპუტატებისაგან მოითხოვს, რათა პრემიერის პოსტზე ან კლიუევი (იანუკოვიჩის ადმინისტრაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელი), ან არბუზოვი (პრემიერის მოვალეობის შემსრულებელი) დაამტკიცონ. კლიუვს კრემლში გავლენიანი კავშირები გააჩნია. რაც შეეხება არბუზოვს, ის იანუკოვიჩის ვაჟის მეგობარია და, შესაბამისად, მისი გაპრემიერებაც „ოჯახის“ პოზიციების განმტკიცებას ნიშნავს. ამას პარლამენტში არა მხოლოდ ოპოზიციონერი დეპუტატები აღუდგნენ წინ. ეს დიდადაა განპირობებული მსხვილი კაპიტალის (ახმეტოვი, ფირტაში და ა.შ.) პოზიციით, რომელიც პრორუსული დიქტატურის დამყარებას ძალზე უფრთხის. იანუკოვიჩიც შანტაჟისა და დაშინების ჩვეულ მეთოდებს დაუბრუნდა.

— ვიქტორ ფიოდოროვიჩი თავისი პარტიის წევრებს უკვე ღიადეუბნება: მთელი თქვენი ასავალ-დასავალი კარგად ვიცი, ყველანი კრიმინალები ხართ და თქვენი ადგილი ციხეშია! ასე რომ, ნუ მეურჩებით, თუკი პარლამენტი დაიშლება, თქვენი, როგორც დეპუტატების ხელშეუხებლობაც დამთავრდება და ყველას თავს ციხეში გიკრავთ, — ამტკიცებს კლიჩკო.

### რეპრესიები გრძელდება

პარალელურად ხელისუფლება კვლავაც ცდილობს, პატრიოტების წინააღმდეგ რეპრესიები გაატაროს. მილიცია კვლავ განაგრძობს პატრიოტი აქტივისტების გატაცება-ცემას. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მათ აკავებენ და „ორგანოს თანამშრომელთა მიმართ წინააღმდეგობის გაწევას“ აბრალებენ.

— სამოქალაქო ფორმაში გადაცმული ოთხი თანამშრომელი ჩემს სახლთან თავს დამესხა. მე ისინი ხულიგნებად ჩავთვალე, რადგანაც არც ფორმა ეცვათ, არც მოწმობა უჩვენებიათ. რასაკვირველია, წინააღმდეგობა გავუწიე და მაგრადაც მივბეგვე. ერთ-ერთს, მგონი, ყბაც მოვტეხე. ახლა მილიციონერის ცემას მაბრალებენ! — აცხადებს მაიდანის ერთ-ერთი აქტივისტი სუსლოვი.

ავტომაიდანის აქტივისტი დმიტრო პოლტავეცი უკვე ფორმიანმა მილიციონერებმა ქუჩაში დააკავეს. სასამართლომ მას წინასწარი პატიმრობა შეუფარ-



და.

— ახლა დავრწმუნდი, რომ ჩემს ქვეყანაში კრიმინალური ხელისუფლებაა. სრულიადაც არ ვნანობ, რომ მაიდანზე გავედი! ასეთი მთავრობა უნდა დაემხოს! — განაცხადა სასამართლოზე პოლტავეცმა.

აღსანიშნავია, რომ ავტომაიდანის აქტივისტთა დიდი ნაწილი კვლავ პატიმრობაში რჩება. მეტიც, მათ ახალი ბრალდება წაუყენეს: მასობრივი არეულობების ორგანიზება, რაც, უკრაინული კანონმდებლობით, 10-15 წლით პატიმრობას ითვალისწინებს. ასევე პატიმრობაში რჩება ჩერკასის მაიდანის 40 მონაწილე. ვინიცაში ადგილობრივ ხელისუფლებასა და ოპოზიციონერებს შორის შეთანხმება მოხდა. ოპოზიციონერები დაცლიან საოლქო ადმინისტრაციულ შენობას, ხელისუფლება კი მათ წინააღმდეგ რეპრესიებს არ განახორციელებს. პატრიოტებმა პირობა შეასრულეს, სამაგიეროდ, ხელისუფლებამ შეთანხმება უხეშად დაარღვია. როგორც კი ადგილობრივი ადმინისტრაციის შენობის განბლოკვა მოხდა, ოპოზიციონერების წინააღმდეგ რეპრესიები დაიწყო. დააპატიმრეს „სვობოდას“ ვინიცის ფილიალის ხელმძღვანელი ბორციონა. მას ბრალად მასობრივი არეულობის ორგანიზება დასდეს.

— ჩვენს ქვეყანაში როგორც სასამართლო, პროკურატურა, ასევე მილიცია და უშიშროება პრივატიზებულია. ისინი არა კანონს, არამედ იანუკოვიჩის კლანის ინტერესებს იცავენ, — განაცხადა რადიო „თავისუფლებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში უკრაინის უშიშროების სამსახურის ყოფილმა შეფმა, გენერალ-მაიორმა იგორ სმეშკომ.

### „ტიტუშკები“ მოქმედებენ

მილიციისა და სასამართლოს გარდა, ხელისუფლება ოპოზიციონერების წინააღმდეგ დაქირავებული ხულიგნების (ტიტუშკები) გამოყენებასაც განაგრძობს. განსაზღვრული თანხის სანაცვლოდ ისინი მზად არიან, ოპოზიციის მიტინგები დაარბიონ. მაიდანის ერთ-ერთი ლიდერი იური ლუცენკო ასეთი „ტიტუშკას“ თავდასხმის შემდეგ საავადმყოფოში მოხვდა. დაქირავებული ხულიგნები განსაკუთრებული გამეტებით ოპოზიციური ტელეარხების ჟურნალისტებს (მათ შორის ქალებს) უსწორდებიან. უკანასკნელ ხანს უკრაინაში „ტიტუშკების“ ლეგალიზაცია მოხდა, როცა ხარკოვში, დონეცკში, ლუგანსკში ადგილობრივი ხელისუფლების უშუალო ხელშეწყობით „სახალხო რაზმები“ შეიქმნა. ამათგან თავი ხარკოვის რაზმმა გამოიჩინა. ის ყოფილმა მილიციელმა, ამჟამად კი საბრძოლო კლუბ „ოპლოტის“ ლიდერმა ევგენი ჟილინმა შექმნა. ჟილინი ფრიად კოლორიტული ბიოგრაფის პატრონია. ჯერ კიდევ მილიციაში მუშაობისას პასუხისგებაში ორჯერ იყო მიცემული — პირველად ქალის გაუპატიურების გამო, მეორედ იმიტომ, რომ დაკავებისას მოქალაქეს მხეცურად სცემა. ჟილინი მაშინ ციხეს გადაურჩა, თუმცა მილიციაში მისი კარიერა დამთავრდა. როგორც ჩანს, გავლენიანი მფარველები ჰყავდა, რადგანაც მალე მუშაობა უკრაინის უშიშროების სამსახურში განაგრძო. ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ ჟილინი დააპატიმრეს. გისოსებს მიღმა მან სამი წელი გაატარა. ხელისუფლებაში იანუკოვიჩის მოსვლის შემდეგ ჟილინი კვლავ ამიტივტივდა. ახლა მას ხარკოვის ოლქის გუბერნატორი დობკინი მფარველობდა. მალე ჟილინმა საბრძოლო კლუბი „ოპორა“, შემდეგ კი უნივერსამიც გახსნა. ავი ენები ამტკიცებდნენ, რომ ჟილინი როგორც რეკეტში, ისე ნარკობიზნესში აქტიურად იყო ჩაბმული, ხოლო დობკინი მის „კრიშას“ წარმოადგენდა. სწორედ დობკინის მფარველობამ განაპირობა ის, რომ ჟილინი გამდიდრდა და პოლიტიკურ მოღვაწეობაზე პრეტენზია განაცხადა. კიევში მასობრივი გამოსვლების დაწყებისთანავე უკრაინის დედაქალაქში გაემგზავრა და ბარიკადების აღება სცადა.

— მაიდანზე დასავლეთ უკრაინიდან გადმოსული ფაშისტიბოევიკები შეიკრიბნენ!

რადგან ხელისუფლება უსუსურობას იჩენს, ჩემი, როგორც მოქალაქის ვალია, ეს ნაცისტები ავლაგმო! დარწმუნებული ვარ, მთელი კიევი ჩემ გვერდით დადგება, — განუცხადა ჟურნალისტებს ჟილინმა.

მოლოდინი არ გამართლდა. კიევი ჟილინსა და მის ბიჭებს მტრულად შეხვდა. „ოპლოტის“ წევრები, რომლებმაც ბარიკადების აღება ან ავტომაიდანის ბლოკირება ცადეს, მაგრად გაილახნენ. კუდამოძუებულმა ჟილინმაც კიევი დატოვა. ის დაბრუნდა ხარკოვში, სადაც „სახალხო რაზმების“ შექმნა დაიწყო, აქაოდა, ჩემი ქალაქი ფაშისტებისაგან უნდა დავიცვაო. ყოფილი მილიციელი და მისი მსგავსნი უკრაინაში კვლავ დაუსჯელობით სარგებლობენ. ქვეყანაშიც ვითარება იძაბება.

### გაათავისუფლებენ თუ არა იულია ტიმოშენკოს?

ამ ფონზე ვრცელდება ინფორმაცია იულია ტიმოშენკოს შესაძლო გათავისუფლების შესახებ. რადიო „თავისუფლების“ ცნობით, პატიმრობაში მყოფი ექსპრემიერი იანუკოვიჩის ადმინისტრაციის თავკაცმა კლიუევმა ინახულა. რაზე ისაუბრეს, უცნობია, თუმცა მალე ტიმოშენკომ მორიგი განცხადება გააკეთა, იანუკოვიჩთან ტელედებატებისათვის მზად ვარო.

— დღევანდელ ვითარებაში ტიმოშენკოს გათავისუფლება ხელისუფლებისათვის ხელსაყრელია, რადგანაც ამით ოპოზიციის ერთიანობა მოიშლება, — თვლის პოლიტოლოგი ვადიმ კარასიოვი.

სხვა ექსპერტები ამას არ ეთანხმებიან. ისინი ამტკიცებენ, რომ იანუკოვჩს ტიმოშენკოსი პანიკურად ეშინია, ამიტომ მანამ, სანამ ვიქტორ ფიოდოროვიჩი პრეზიდენტია, ექსპრემიერი პატიმრობაში დარჩება.

— შესაძლოა, იანუკოვჩისათვის ტიმოშენკოს გათავისუფლება მართლაც ხელსაყრელი იყოს, მაგრამ ჩვენს პრეზიდენტზე საღი აზრი კარგა ხანია აღარ მოქმედებს, ამიტომ ტიმოშენკოს გათავისუფლებასაც არ მოველი, — თვლის პოლიტოლოგი ტარას ბერეზინეცი.

### ეპილოგი

უკრაინაში შექმნილი ვითარება დასავლეთის შეშფოთებას იწვევს. მართლაც, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებები ჩიხშია შესული. იანუკოვიჩი ტერორისა და პროვოკაციების პოლიტიკას განაგრძობს. ოპოზიციონერების



წინააღმდეგ საქმეების შეთითხნა გრძელდება. იმავდროულად, სასამართლომ გაამართლა 30 ნოემბრის დარბევის ორგანიზატორები — უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სივკოვიჩი და კიევის მილიციის უფროსი კორიაკი. ხელისუფლების ასეთი მოქმედება ვითარებას კიდევ უფრო ძაბავს და წყალს რუსეთის წისქვილზე ასხამს, რადგან კრემლი უკრაინაში ძალისმიერი სცენარის გათამაშებასა და ამ ქვეყნის დაშლას ცდილობს.

— უახლოეს დღეებში უკრაინის მთელ ტერიტორიაზე რუსული სპეცსამსახურების გააქტიურებაა მოსალოდნელი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, რუსული ფსბ ტერაქტებისა და დივერსიების მთელ სერიას გეგმავს, — განაცხადა მემარჯვენე სექტორის ლიდერმა იაროშმა.

დასავლეთი, უწინარეს ყოვლისა, აშშ და ევროკავშირი, უკრაინელ პატრიოტებთან ერთად რუსული სცენარის ანუ ძალადობის თავიდან აცილებას ცდილობენ. შტეფან ფიოლეს ვიზიტიც კიევში სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ბრძოლა გრძელდება.

**ნიკა თევზაძე**

# მიხეილ სააკაშვილი: პუტინის ბედი კიევის გაყინულ ქუჩებში გადაწყდება“

საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ცდება, თუ ფიქრობს, რომ სოჭის ოლიმპიადა მას ძალაუფლების გამყარებაში დაეხმარება. რუსეთის პოლიტიკასთან და სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით — „მეფე ვლადიმერის ილუზიები“ საუბრობს.

სააკაშვილის თქმით, პოტიომკინის სოფლების შენება ვერ აღადგენს ვერც რუსეთის გავლენას რეგიონში და ვერც სამეზობლოზე იმოქმედებს დადებითად, რადგან ამის მიღწევა მხოლოდ რეალური რეფორმებით შეიძლება.

მისივე თქმით, ვერც ოლიმპიადა გაანელებს რეგიონში არსებულ ისტორიულ სატკივარს, რადგან თამაშები მხოლოდ ერთჯერადი პროპაგანდის სახეს ატარებს.

სააკაშვილი იხსენებს, რომ საბჭოთა კავშირი 1980 წელსაც მასპინძლობდა ოლიმპიადას და სწორედ თამაშების შემდეგ დაწყებულმა პროცესებმა მიიყვანა ის რღვევამდე.

„არსებობს ფუნდამენტური დაპირისპირება, პუტინის წარსულის აღდგენის ძალისხმევასა და უკეთეს მომავალზე მეოცნებე ხალხს შორის. შედეგად ბატონი პუტინის ბედი შესაძლოა, უფრო მეტად კიევის გაყინულ ქუჩებში გადაწყდეს, ვიდრე სოჭის სურნელოვან ფერდობებზე“-წერს მიხეილ სააკაშვილი

**ნიუსპრესი**

## ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ელმომარაგების სამსახურის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ბატონ ჯანო ჭეხაშვილს გარდაეცვალა მეუღლე, ქალბატონი

**ლიანა (ნაზი) შალვას ასული მცურავიშვილი-ჭეხაშვილისა**



პანაშვიდი: 13, 14 თებერვალს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 15 თებერვალს, 14 საათზე.

მისამართი: ვარკეთილი-3, II მიკრორაიონი, IX კორპუსი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თითოეული თანამშრომელი ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ჩვენი უსაყვარლესი კოლეგის

**თეა გუგუციძის**

გარდაცვალების გამო.

ვუსამძიმრებთ მისი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7
რდბჰბც უფჰლფ7!@-ლფყ!& ცფფსფვლტ8

# TV პროგრამა

**პარასკევი 14 თებერვალი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** "ოლიმპიადის დღიური" **14.40** დ/ფ "ინსტრუქცია ამერიკის ქალბატონი პრეზიდენტებისთვის" **17.00** ტ/სერ. "ხმა წარსულიდან" **18.00** ოლიმპიადა — ბიატლონი (პ/რ) **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** მხ/ფ "**დაბადებულები 00.00** მხ/ფ **"წმინდა ვალენტინის დღე"** (ჯ.ალბა)

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) **14.00, 16.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **20.00** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**07.30, 08.05, 09.10** ს დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** კულინარიული დუელი (გ/ჩ) **16.03** სერ. **"სიყვარულის დრო"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ. **"სილა"** **22.00** თოქ შოუ რეაქცია **00.00** მხ/ფ **"სიკვდილის თამაში"** (უ.სნაიპსი) **01.55** სერ. **"ოქროს კერპი"** **8** სერ.

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"დასასრული"** **5** სერ. **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი

**06.10** საგალობელი **06.15** დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" **07.00** დოკ/ფ "დავით გარეჯი" II სერ. **07.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დოკ/ფ "წმინდა ათონელი მამები" **11.05** დოკ/ფ "მცხეთის ჯვარი" **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** პორტრეტები **12.50** მოკ/ფ **"ჰობოი"** **13.25** ქვიშით ნაამბობი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დოკ/ფ "კეთილმოწყალე უფალი" III ნაწ. **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** კონცერტი -საქართველოს მომავლის ვარსკვლავები - ე.გოგიბედაშვილი,ლიზი რამიშვილი **17.00** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"სინემა"** **20.40** ძილი ნებისა **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "საუფლონი" ლამპრითა სულიერითა **23.50** ქვიშით ნაამბობი **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე

**მაესტრო** **7.00, 0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30, 5.30, 6.30, 14.00** ფარული კამერა **8.00, 9.15** მულტფილმები **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** (გამ) **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30** „ყოველდღიური ამბები" (გამ.) **14.30** "პულსი"(გამ.) **19.00 სერიალი „აკრძალული სიყვარული" 20.00 სერიალი "დაკარგული დრო" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 2.15 სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება" 23.00** სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება" **1.45, 4.30** NX სპიკერი

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


14 Tebervali

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,7268

ევრო — 2,3545

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8554

100 რუსული რუბლი — 4,9679

## ამინდის პროგნოზი 14 თებერვლისთვის








# 18 თებერვლიდან „ახალ თაობასთან" ერთად საქართველოს ისტორია

საერო და საეკლესიო 100 რუკის მიხედვით


.დცაფვ უფბსლფუაბცოზყცს=

ეს დღე წარმატებას მოგიტანთ

fcnhjghjuyjpb 14 თებერვლისთვის

**ვერძი** – ყველა საქმე გამოგდით, მეტი რა გინდათ? **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** – არავის ენდოთ, მხოლოდ ერთგულ მეგობარს დაუჯერეთ. **ლომი** – ახალი საქმე გაამართლებს, გახარებული ხართ. **ქალწული** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **სასწორი** – საკუთარ თავს მეტი ყურადღება მიაქციეთ, დროგამოშვებით დაისვენეთ ხოლმე. **ღრიანკალი** – ქერის ორმოში აღმოჩნდებით, ამას ნამდვილად იმსახურებთ. **მშვილდოსანი** – დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ამ დღეს მოუთმენლად ელოდით. **თხის რქა** – წვეულება დიდი სიხარულით დასრულდება, ფინალი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბებს. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** – ცხოვრებას ფილოსოფიურად უყურებთ, ზედმეტი საჭირო არ არის.

უბცეჰლტ,ს ,ტცყბტჰ ცქტს=

## hჰxცლxჰლბ ფ

**შვეულად**: 1. მაღალხარისხოვანი ბროლი; 2. მრგვალი, წითელი შავწინწკლებიანი მწერი; 3. ბრუნვის სიჩქარის გასაზომი ხელსაწყო; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ერაყში; 5. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 8. მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 9. არაკეთილხმოვანება მუსიკაში; 12. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. კურორტი საფრანგეთში, სადაც ჩატარდა პირველი ზამთრის ოლიმპიური თამაშები; 16. იაპონიაში ყველაზე დიდი ოსაკას აეროპორტი.

**თარაზულად**: 1. თამარ მეფის დედის სახელი; 6. ფინური ხალხური ეპოსი; 7. მოლაპარაკე ფრინველი; 9. გულზე საკიდი ქალის სამკაული; 10. ესპანელი სიურეალისტი მხატვარი; 11. მუსიკალური ფრაზის გამეორება სხვა ხმითა და სხვა ტონალობით; 13. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 15. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 17. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი; 18. უბანი აფრიკაში; 19. ზანტი, მოუქნელი ადამიანი; 20. ვირტუოზი იტალიელი მევიოლინე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# კობი სიამოვნების გახანგრძლივებას აპირებს



ლევან კობიაშვილისთვის მიმდინარე სეზონი თითქოს ბოლო უნდა ყოფილიყო კარიერაში, მაგრამ ბერლინის „ჰერტას" მცველი კიდევ ერთი წელი კარიერის გაგრძელებას არ გამორიცხავს.

ლევან კობიაშვილი:

– ახლა ფეხბურთისგან ძალიან დიდ სიამოვნებას ვიღებ. ისეთი სურვილით ვთამაშობ და თან ისე გამომდის ყველაფერი, რომ ამ მომენტში ძალიან ადრეა იმის თქმა, რომ ზაფხულში კარიერას ნამდვილად დავასრულებ. ვერ წარმომიდგენია, რომ რამდენიმე თვეში ამ სიამოვნებას მიღების საშუალება აღარ მექნება. ახლა ისე წარმომიდგენია, რომ შესაძლოა ერთი წელი თამაში კიდევ გავაგრძელო.

ბერლინელთა მენეჯერმა მიხაელ პრეეტცმა კობიაშვილს ქება არ დააკლო:

– „კობი" სამაგალითო ფეხბურთელია. ყოველთვის, როდესაც საჭიროა, ის თავის საქმეს საუცხოოდ აკეთებს. მას ვარჯიში ერთი წუთითაც არ გაუცდენია. ის ყველასთვის მაგალითის მიმცემია და „ჰერტასთვის" ასეთი ფეხბურთელის ყოლა იღბლიანიც არის.

გეტყვით, რომ 36 წლის კობიაშვილი, რომელსაც ბუნდესლიგაში 342-ჯერ უთამაშია, სხვადასხვა გამოცემებთან ინტერვიუში აცხადებდა. რომ მიმდინარე სეზონი მის კარიერაში ბოლოა. თუმცა, ამჟამად, ასე აღარ ფიქრობს. თუ მან „ჰერტაში" მომავალ სეზონშიც ითამაშა, შანსი აქვს, რომ პერუელი კლაუდიო პისაროს რეკორდი (360) გააუმჯობესოს, რომელსაც ლეგიონერებს შორის ბუნდესლიგაში ყველაზე მეტჯერ უთამაშია.

ე. ჟ.

# პაატა ბურჭულაძეს ხელის ანაბეჭდი გაუხსნეს

ეკა ირემაშვილი



ცნობილ საოპერო ბანს პაატა ბურჭულაძეს, რომელსაც 12 თებერვალს 59 წელი შეუსრულდა, საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის უკვდავთა თაღში ხელის ანაბეჭდი საზეიმოდ გაუხსნეს. ამ ტრადიციას ხელოვნების სასახლეში საფუძველი ერთი წლის წინ ჩაეყარა. უკვდავთა თაღში ქართული კულტურის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის უკვე გახსნილია ელდარ შენგელაიას, ოთარ მეღვინეთუხუცესის, გივი ბერიკაშვილისა და კახი კავსაძის ხელის ანაბეჭდები, რომელთა რიცხვს პაატა ბურჭულაძის ანაბეჭდიც შეემატა.

თუმცა მანამდე, ცნობილი საოპერო მომღერალი კულტურის სამინისტროში მიიწვიეს, სადაც ავსტრიიდან საგანგებოდ ჩამოსულმა დელეგაციამ ავსტრიის სახელმწიფო ჯილდო გადასცა – „პირველი ხარისხის საპატიო ჯვარი მეცნიერებასა და ხელოვნებაში გაწეული ღვაწლისთვის". ჯილდოს გადასაცემად თბილისს ეწვია ავსტრიის თეატრების ჰოლდინგის გენერალური დირექტორი გეორგ შპრინგერი, შეხვედრაზე ასევე წარმოდგენილ იქნა ავსტრიის პრეზიდენტის, ჰაინც ფიშერის საგანგებო წერილი პაატა ბურჭულაძის შესახებ და მისალოცი ტექსტი.


გაგრძელება მე-10 გვერდზე



მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი

## ფელიქს ლაპიცკი



ატარებს რეაბილიტაციას რთული მოტეხილობის შემდგომ მოძრაობის აღდგენით

ასწორებს:

- აღნაგობის დარღვევას
- სქოლიოზს
- გულმკერდის დეფორმაციას
- „ქათმისებურ მკერდს"



მკურნალობს:

- ოსტეოქონდროზს (მარილებს)
- ზურგის არეში ტკივილებს
- რადიკულიტს
- უძილობას, ნევროზს
- თავბრუსხვევას

ტელ.: 232 47 38; მობ.: 595 63 92 94
E-mail: felix_lapitski@yahoo.com

## მარიამ ლაპიცკი

გთავაზობთ ჩვილ ბავშთა მასაჟს

მობ.: 598 40 53 08





კევ]ბ ოზსტკბ .ღზსტკბ იფღბ